# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 მაისი 2005 №109 (2432) ფასი 50 თეთრი




## ეს ისეთი ჯილდოა...

დღეს უეფას თასის ფინალია

5

# ბასკეთის ცაზე ქართული წარმოშობის ვარსკვლავი ანთია

## დიმიტრი იაშვილის შებოჭვა მხოლოდ პატარებს შეუძლიათ

*— მთელი სულით და გულით მინდა, საქართველოს ნაკრებმა მოახერხოს შესარჩევი ციკლის დაძლევა. გრეგუარის წინააღმდეგ კი გაორმაგებული ძალით ვითამაშებ, არაფერს დავუთმობ (იცინის). თანაც, დარწმუნებული ვარ, განსაკუთრებული გამოხმაურება ექნება ამ ფაქტს აქაც და საერთოდ მთელ სარაგბო სამყაროშიც. გენიალური იქნება.*

* * *

*ქართველთაგან ბევრს ვიცნობ და ვიცი, მშვენიერი მორაგბეები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, დიდ წარმატებებს მიაღწიონ.*

**გაიოზ თალაკვაძის ექსკლუზიური ინტერვიუ დიმიტრი იაშვილთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე**





გაიოზ თალაკვაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალამ იკითხოს ხვალისა

## დღეს კი ქართული ფეხბურთი ოთხოსანია







გუშინდელი დღე ქართული ფეხბურთში საყურადღებო იმით გახლდათ, რომ ფედერაციამ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობის ორი მსურველის ოფიციალური განცხადება მიიღო, ესენი არიან გიორგი ნემსაძე და ნოდარ ახალკაცი. მათგან ერთმა, ახალკაცმა, სასტუმრო „მარიოტში“ პრესკონფერენციაც მოაწყო.

გუშინვე წინასაარჩევნო კამპანიის მორიგი აქცია მოაწყო კიდევ ერთმა ოფიციალურმა კანდიდატმა, რევაზ არველაძემ. მან ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, 40 ნომერში აამოქმედა შტაბი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მივიდეს საქმიანი წინადადებით, შენიშვნით თუ სურვილით.

ასე და ამგვარად, ოფიციალურ განაცხადთა შეტანისთვის დათქმულ დრომდე ორი დღით ადრე ქართულ ფეხბურთს ოთხი იურიდიულად გატარებული კანდიდატი ჰყავს: ვლადიმერ გუცაევი, რევაზ არველაძე, გიორგი ნემსაძე და ნოდარ ახალკაცი.

# რევაზ არველაძის PUBLIC RELATION

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ვაკეში,** ირაკლი აბაშიძის 40 ნომერში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა რევაზ არველაძემ თავისი საარჩევნო შტაბი გახსნა. გუშინვე არველაძემ განცხადება შეიტანა ფეხბურთის ფედერაციაში და ფორმალურადაც გაიფორმა კანდიდატობა, რაზეც ის საფეხბურთო კლუბმა „თბილისმა" წარადგინა.

შტაბის პრეზენტაცია პომპეზური არ ყოფილა, მაგრამ ნამუშევარი ჩანდა — არველაძეს ეს ერთგვარ პიარ-კამპანიად უნდა ჩავუთვალოთ.

ღონისძიებაზე არველაძის ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარდა ვეტერანი ფეხბურთელებიც მივიდნენ — მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე და მურთაზ შელია, კიდევ, ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში გიორგი ასანიძე და ყველასთვის კარგად ნაცნობი „უცნობიც". პრეზენტაციას დაესწრო ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელიც — სანდრო იაშვილი, მიხეილ ბობოხიძე, რევაზ გეწაძე.

როგორც არველაძემ განაცხადა, შტაბში მისვლა შეუძლია ყველა მსურველს, ვინც საფეხბურთო საკითხებში მისთვის რჩევებს გაიღებს ან ვისაც მის წინასაარჩევნო პროგრამაში რაიმე შენიშვნა აქვს. მოკლედ, არველაძე უშუალობას და თავისებურ თანამშრომლობას სთავაზობს საფეხბურთო საზოგადოებას.

მთავარი აქ მაინც პი (P) არ (R) უნდა იყოს — PUBLIC RELATION.

ერთი სიტყვით, არველაძე პრეზიდენტობის კანდიდატთაგან პირველია, საარჩევნო პროგრამა რომ გამოამზეურა და პიარული სვლაც გააკეთა. ფედერაციის პრეზიდენტს მოსახლეობა არ ირჩევს, მაგრამ პროგრამითა და პიარით ხომ ქვეყნის ხელისუფლებაზეც შეიძლება შთაბეჭდილების მოხდენა...

ბადრი კეთილაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავა და სერგო კოტრიკაძე

**დავით თავართქილაძე**

# ნოდარ ახალკაცი: ნოდარ ახალკაცი ვარ!

## ორი წლის შემდეგ: პროგრესი. ექვსი წლის შემდეგ: აშკარა პროგრესი



*...კარგი მსაჯი ისაა, ვინც თამაშისას არ ჩანს. ვისურვებდი, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში საზოგადოებამ არ იცოდეს, ვინ არის ფედერაციის პრეზიდენტი, თუმც საქმე გაკეთდეს — თქვა გუშინ ნოდარ ახალკაცმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთმა ოფიციალურმა კანდიდატმა.*

*სწორედ გუშინ დილით 29 წლის ნოდარ ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" წარადგინა და ფედერაციამ ის რეგისტრაციაში დაუყოვნებლივ გაატარა.*

ნოდარ ახალკაცმა თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურისა თუ პროგრამის პრეზენტაცია გუშინვე სასტუმრო „მარიოტში" გამართა. შეხვედრას ჟურნალისტებზე მრავლად კანდიდატის მხარდამჭერები ესწრებოდნენ, მაგალითად, ისინი, კანდიდატის მამის, ცნობილი ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობისას რომ მუშაობდნენ ფედერაციაში — ყოფილი გენმდივანი დავით კვინიკაძე, ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი ნოდარ კობერიძე. იქვე იყვნენ ვალერი კვარაცხელია და ვახტანგ გოგუაძე, ასევე „ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე.

პირველი სიტყვა კი საფეხბურთო კლუბ — „ზესტაფონის" პრეზიდენტის ილია კოკაიასი იყო:

— ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვაქვს საშუალება, ნოდარ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად წარვადგინოთ. მასზე არჩევანი შემთხვევით არ გაგვიკეთებია. გვჯერა, რომ ქართულ ფეხბურთს კრიზისიდან ის გამოიყვანს. ნოდარ ახალკაცი ჩვენს კლუბში სპორტულ კონსულტანტად მუშაობდა და დღეს რომ „ზესტაფონს" ასეთი შედეგი აქვს, მისი დამსახურებაც არის.

ილია კოკაიას დაწყებული, ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა განაგრძო და თავიდან საარჩევნო პროგრამის ძირითადი პოსტულატები გაგვაცნო — ფეხბურთის მასობრიობის გაზრდა, ფეხბურთის მართვაში პროფესიონალიზმის ამაღლება და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება.

— ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დასამალი არაა, კონსულტაციები მქონდა, ისევე, როგორც ჩემს კონკურენტებს. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სამოქმედო პროგრამა ხელისუფლებისთვის მისაღები იქნება. დაგიკონკრეტებთ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც — სპორტის დეპარტამენტი და სამინისტრო.

— არ ვთვლი, რომ საარჩევნო კამპანია გვიან დავიწყე. ოფიციალური განაცხადი დღეს თუ გავაკეთე, ეს აქამდე უმოქმედობას არ ნიშნავს. დიდი ხანია, ფედერაციის პრეზიდენტობაზე ვფიქრობ, მეტიც, მთელი ცხოვრება. ჩემი სახელია ნოდარ ახალკაცი, ეს კი, მგონი, ქართულ ფეხბურთში რაღაცას ნიშნავს. თუმც პრეზიდენტობის კანდიდატურა მხოლოდ ნოდარ ახალკაცობისთვის არ წამომიყენებია.

— ვეტერანი ფეხბურთელებისადმი ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ფედერაციის პრეზიდენტი აუცილებლად ყოფილი ფეხბურთელი უნდა იყოს. ნოდარ ახალკაცი მთელი ცხოვრება ფეხბურთში იყო და საკმაოდ კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთში შექმნილ რეალურ ვითარებას. ვმუშაობდი ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებაში, ვიყავი ფედერაციის წარმომადგენელი ევროპაში, სტაჟიორი გახლდით უეფას პროფესიული ფეხბურთის კომიტეტში და გერმანიის საფეხბურთო კავშირში. ბოლო დროს თბილისის „ამერის" საერთაშორისო ურთიერთობათა მენეჯერად და „ზესტაფონის" სპორტულ მრჩევლად ვმუშაობდი. „ზესტაფონი" სეზონის დასაწყისში აუტსაიდერი იყო, დღეს კი ერთ-ერთი ლიდერია; ხოლო „ამერი" უმაღლეს ლიგაში გადავიდა, რასაც გულითადად ვულოცავ. მოკლედ, საფეხბურთო საქმიანობაში გამოცდილი ვარ.

— ბედნიერი ვარ, რომ მამაჩემის თანამებრძოლები დღეს აქ ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე მოვიდნენ და ჩემი მხარდამჭერები არიან.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ალენ ჟირესს პირადად ვიცნობ და მთლიანად ვიზიარებ მის საფეხბურთო ხედვას. რაც შეეხება ჟირესის მწვრთნელად დარჩენას, გეტყვით, რომ ფეხბურთის ფედერაციას მასთან კონტრაქტი აქვს და გააგრძელებს თუ არა ის ნაკრებში მუშაობას, ეს ფედერაციის აღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს.

ნოდარ ახალკაცმა თავის წარსულზე და საპრეზიდენტო გეგმებზე საკმაო ხანს ისაუბრა და ერთიორჯერ დამსწრეთ ტაშიც შემოაკვრევინა. თუ რის კეთებას აპირებს გაპრეზიდენტებისას ახალკაცი, ამას ახლა დაწვრილებით ვერ მოვყვებით, თუმც...

— ჩემი სამოქმედო პროგრამა ექვსწლიანია. პირველი ორი წლის შემდეგ, ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთში პროგრესი იქნება, ამაღლდება პროფესიონალიზმის დონე, ექვსი წლის შემდეგ კი აშკარა პროგრესს დაინახავთ — ამბობს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ნოდარ ახალკაცი.

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი

პირველი ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
ტრანმერი 2:0 ჰარტლპული (0:2)

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ჰფულენდორფი 0:4 აუგსბურგი
კობლენცი 0:1 ზიგენი

### ავსტრია

თასის ნახევარფინალი
რაპიდი 4:1 გრაცერი

### შვედეთი

სუპერეტა. V ტური
ნორჩიოპინგი 3:1 ფრიოლუნდა
ვასტერასი 2:2 იორებრო
გაის 1:1 ატვიდაბერგი

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ვისლა 1:0 პოგონი (0:0)

### სლოვაკეთი

I ლიგა. XXXI ტური
ინტერი 2:0 ბანსკა ბისტრიცა
რუჟომბეროკი 1:2 დუბნიცა
ტრენჩინი 1:0 სობოტა
ტრნავა 1:0 პუხოვი
ჟილინა 0:1 პეტრჟალკა

### სლოვენია

თასის ფინალი
პუბლიკუმი 1:0 ნოვა გორიცა

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი
პირველი ტური
ფილკირი 1:2 რეიკიავიკი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. მეორე ეტაპი. 34 ტური. ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

*ვისაც საქართველოს ჩემპიონატზე გული არ აგყრიათ და პერსპექტიული ფეხბურთელების ნახვა გაინტერესებთ, ნუ დაიზარებთ და ვაკის გზას გაუყევით. საჩემპიონოდ შემართული „დინამო“ „მიხეილ მესხზე“ წლეულს წაუგებელ „ლოკომოტივს“ ესტუმრება. კახა ცხადაძის ბიჭებმა თუ მოიგეს, საარითმეტიკო აღარაფერი იქნება — ჩემპიონები არიან და ეგ არის. „ლოკომოტივსაც“ ჰაერივით სჭირდება ქულები, რადგან ხანგრძლივი წაუგებელი სერიის მიუხედავად, მეოთხე საფეხურს ვერ გადაახტა...*

### ლოკომოტივი თბილისი

**სავარაუდო შემადგენლობა**

21 კალაძე, 18 მელქაძე, 27 ნავალოვსკი, 28 ოდიკაძე, 9 ნოზაძე, 8 ბაბუნაშვილი, 3 კანდელაკი, 4 ლ. ქელიძე, 14 სილაგაძე, 2 ჭიჭვეიშვილი, 1 ზოიძე

მწვრთნელი ნოდარ აკობია

*ჩემი აზრით, „დინამო“ უკვე ჩემპიონია. კახა ცხადაძის ხელში გუნდი პროგრესს განიცდის, ყველა რგოლში ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენი კოზირი? „დინამოს“ ყველაფერს ხომ არ გავაგებინებ...*

*ერთი ვიცი, ბრძოლა იქნება და ორივე გუნდს შეეძლება მოგება.*

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე; ა. ორდინიძე

**ინსპექტორი:** ნ. კაკულია

### დინამო თბილისი

**სავარაუდო შემადგენლობა**

10 სირბილაძე, 14 ბობოხიძე, 9 ქებაძე, 17 ფოფხაძე, 20 სანაიძე, 26 რ. ონიანი, 5 მანჩხავა, 6 გიგაური, 4 მახვილაძე, 3 გ. ონიანი, 12 სტურუა

*სწორედ ასეთი ღირსეული გუნდის დამარცხებით უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩემპიონობის ღირსები ვართ. „ლოკომოტივს“ 19-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ფხიზლად უნდა ვიყოთ. მეტოქეს კარგი თავდამსხმელები ჰყავს, სირბილაძეს და ბობოხიძეს სიფრთხილე უნდა შევუზღუდოთ.*

მწვრთნელი კახა ცხადაძე

# გაუყევით ვაკის გზას!

ნოდარ აკობიას გუნდი რვა დღეში დავით ყიფიანის თასის ფინალში „ზესტაფონს“ ეთამაშება, მაგრამ მარტო ფინალის იმედად ვერ იქნება.

„ლოკომოტივშიც“ არიან ყოფილი დინამოელები და პირიქით, თუმც ერთ-ერთი მაინც უნდა გამოვარჩიოთ: მიხეილ ბობოხიძეს ივო შუშაკისდროინდელ „დინამოში“ არაერთხელ გაუტანია რკინიგზელთათვის გოლი, ახლა კი ყოფილი კლუბის დასჯას შეეცდება. „ბობოს“ კარგა ხანს მშრალი სერია ჰქონდა, მაგრამ ბოლო ტურებში ისევ გაიხსენა ხელობა.

ზვიად სტურუას კი 810 წუთია, გოლი არ გაუშვია და თუ დღეს 77 წუთსაც გაძლებს, რეკორდს დაამხობს. და ვინ არის მოქმედი რეკორდსმენი? ირაკლი ზოიძე, რომელიც სტურუას მოპირდაპირე კარში იდგება.

თბილისში კიდევ ერთი თამაშია და ისიც საკმაოდ საინტერესო — მესამეადგილოსანი „თბილისი“ ისანში „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდება და უეჭველად შეტევაზე დაიგეშება. ლუის ცაკარიასის სამწყსოს მეორე ადგილზე ასაცოცებლად და შესაბამისად, უეფას თასზე გასასვლელად მშვენიერი შანსი აქვსო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ყველაფერი მათზეა დამოკიდებული — ბოლო ორ ტურში ორივე კონკურენტს, „ლოკომოტივსა“ და „ტორპედოს“ ხვდებიან. მოკლედ, არც ისანში წასვლით დაგწყდებათ გული.

„ვიტ ჯორჯია“ კი ჩემპიონატს მდარედ ამთავრებს. მოქმედმა ჩემპიონებმა სეზონი პირწმინდად ჩააგდეს და გამწარებულ გულზე ახლა სხვა გუნდების გამწარებას ცდილობენ, მაგრამ ვერაფერი გამოსდით. ჯანი კარნევალის მთავარმეგოლე ოთარ მარცვალაძე დაუბრუნდა, თუმც მაინც ხერხემალშია გადატეხილი — წინა ტურში გაძევებული დავით დიღმელაშვილი ამ ტურში დაისვენებს.

ქუთაისში „ტორპედო“ „სიონს“ მიიღებს და ალბათ ხელცარიელს გამოისტუმრებს. ვეჭვობთ, იმერლებს გაჩემპიონების იმედი უჭიატებდეთ, ემანდ, მეორე ადგილიც არ დაკარგონ. ჰოდა, გია მეგრელაძე და ბოლო თამაშებში აბობოქრებული რევაზ ჯიქია ბოლნისელთა საჯარიმოში ბუზებს არ დაითვლიან.

„სიონი“ ხუთი ქულით უსწრებს „კოლხეთს“, მაგრამ დიდი შანსია, სხვაობა დღესვე შემცირდეს. რა უნდა მოხდეს, რომ უფულო კოლხები მათზე უარესად გაძვალტყავებულ „დილას“ ფოთში ვერ მოერივნონ?! ვაი, უის გადაჰყრია და ზღვისპირელები ხავსსლა ეჭიდებიან. ისე, ბოლო ტურში სერგო გაბელაიას გუნდი შინ „სიონს“ უმასპინძლებს და იქამდე თუ სამ ქულამდე შეუმცირა სხვაობა, ფოთში დიდი ამბავი იქნება.

ტურის კომპასმა ლანჩხუთისკენაც გვიჩვენა: მოგეხსენებათ, ზესტაფონის სტადიონზე რეკონსტრუქცია დაიწყო და ფეროელები დარჩენილ ორ საშინაო მატჩს ერთ დროს მგრგვინავ „ევგრაფი შევარდნაძეზე“ გამართავენ. „ზესტაფონის“ ფანების ერთგულება რომ ვიცით, ისინი არც ლანჩხუთში წასვლას დაიზარებენ, მაგრამ თემურ მახარაძის ბიჭებს ჩემპიონატში აღარაფერი აინტერესებთ, 26 მაისამდე დღეებს კი არა, საათებს ითვლიან. მათ მეტოქე „ბათუმს“ კი ჯერ ოფიციალურად არ დაუგულებია თავი უმაღლეს ლიგაში, თუმცა „ბეჭდის დარტყმას“ ბევრიც არაფერი უკლია.

წლეულს დაუმარცხებელი „ლოკომოტივისა“ და თითქმის ჩემპიონ „დინამოს“ შეხლა ძაან თამაში უნდა იყოს

**ილია ნანობაშვილი**

### ლოკომოტივი – დინამო ურთიერთშეხვედრები

| | |
|---|---|
| **1997-1998** | |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 4:0 |
| **1998-1999** | |
| დინამო — ლოკომოტივი | 1:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:0 |
| **1999-2000** | |
| დინამო — ლოკომოტივი | 4:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 1:2 |
| **2000-2001** | |
| ლოკომოტივი — დინამო | 3:0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:1 |
| ლოკომოტივი — დინამო | 2:2 |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:1 |
| **2001-2002** | |
| ლოკომოტივი — დინამო | 2:1 |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 2:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:0 |
| **2002-2003** | |
| დინამო — ლოკომოტივი | 1:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 1:0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 3:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:1 |
| **2003-2004** | |
| დინამო — ლოკომოტივი | 1:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:1 |
| ლოკომოტივი — დინამო | 0:0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:0 |
| **2004-2005** | |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:0 |
| ლოკომოტივი — დინამო | 2:5 |
| დინამო — ლოკომოტივი | 0:0 |

| | ლოკომოტივი | დინამო |
|---|---|---|
| სულ: | +5=9-11 | 13:28 |
| შინ: | +3=5-4 | 11:12 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 33 | 21 | 5 | 7 | 67:27 | 68 |
| ტორპედო | 33 | 18 | 10 | 5 | 52:27 | 64 |
| თბილისი | 33 | 19 | 6 | 8 | 54:35 | 63 |
| ლოკომოტივი | 33 | 16 | 13 | 4 | 40:19 | 61 |
| ზესტაფონი | 33 | 15 | 5 | 13 | 34:43 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 33 | 12 | 9 | 12 | 49:36 | 45 |
| ბათუმი | 33 | 8 | 12 | 13 | 32:28 | 36 |
| სიონი | 33 | 10 | 4 | 19 | 30:54 | 34 |
| კოლხეთი | 33 | 8 | 5 | 20 | 26:54 | 29 |
| დილა | 33 | 2 | 3 | 28 | 18:79 | 9 |

ქუთაისი. 18 მაისი. 17 საათი. ტორპედო

**ტორპედო — სიონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ფოთი. 18 მაისი. 17 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — დილა**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: გ. სორდია

თბილისი. 18 მაისი. 17 საათი. ოლიმპი

**თბილისი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ლანჩხუთი. 18 მაისი. 17 საათი. ევგრაფი შევარდნაძე

**ზესტაფონი — ბათუმი**

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟირესი და მაღრაძე დამეგობრდნენ

## ფრანგმა და ქართველმა საქმე საბერძნეთში გაარკვიეს

ლევან მაღრაძე

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებში მარჯვენა ფლანგის პრობლემა ძალიან აქტუალური რომაა, თქმა არ უნდა. ჩვენი უპირველესი გუნდის მთავარსარდალი ალენ ჟირესი მარჯვენა მცველად რუსეთის პირველლიგელს, მახაჩყალის ანჟელ კახა მჟავანაძეს ათამაშებს და ძალიან არ უყვარს კითხვები ამ თემაზე.

ჟირესმა ორჯერ უხმო გუნდში ბერძნული „ქსანთის“ 27 წლის მარჯვენაფლანგელ ლევან მაღრაძეს, მაგრამ ქსანთელი ვერცერთხელ ვერ გამოცხადდა ნაკრებში — 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩზე ჩამოუსვლელობის მიზეზად ტრავმა დაასახელა, ხოლო საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებისთვის კი თვითმფრინავით მგზავრობის შიში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამის გამო ფაქსიც კი აფრინა ფიფაში, აქაოდა, იქნებ „ქსანთი“ არ უშვებს მაღრაძეს ნაკრებშიო. ფიფა საქმეში ჩაერთო, მაგრამ ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

წინა კვირას კი ჟირესმა გადაწყვიტა, ევროპაში მოთამაშე რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი უშუალოდ ენახა საქმეში, ვისაც ნაკრებში ფეხი ჯერ არ მოუკიდებია. ჰოდა, გასულ უქმეებზე ჟირესი საბერძნეთში ჩავიდა და იქაური ეროვნული ლიგის მატჩს, „ქსანთი“ — „კალითეას“ დაესწრო. მაღრაძემ 74 წუთი ითამაშა და, როგორც ჩვენმა ბერძენმა კოლეგა ლარი სუსკასმა გვითხრა, საკმაოდ რიგიანადაც.

გუშინ ამ ყველაფრის გამო მაღრაძეს დავუკავშირდით საბერძნეთში. „ჟირესს თამაშის შემდეგ შევხვდი. მე ფრანგული არ ვიცი და მან ქართული, მაგრამ ის კი გამაგებინა, რომ ნაკრებში კვლავაც გამოგიძახებო“ — გვითხრა ქსანთელმა.

**დავით თავართქილაძე**

# ვაჟა IV

## მოლდოვაში შერიფი შერიფია

**ტირასპოლის** „შერიფი“ მეხუთედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი. ეს ამბავი 25-ე ტურში მოხდა, როცა შერიფელთა მდევარი „ნისტრუ“ 1:1 ეთამაშა „ზიმბრუს“ და პირველ ადგილზე გასვლის შანსი დაკარგა. ახლა „შერიფს“ 61 ქულა აქვს და 10 ქულით უსწრებს „ნისტრუს“, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი სამი ტურიღა დარჩა.

ამრიგად, ტირასპოლელთა ქართველმა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა უკვე ზედიზედ მეოთხედ აღმართა ჩემპიონის თასი, „შერიფის“ კიდევ ერთი ქართველი რომან გოგინაშვილი კი პირველად გახდა მოლდოვის ჩემპიონი.

შეგახსენებთ, რომ თარხნიშვილ-გოგინაშვილის გარდა წლეულს უცხო ქვეყნის ოქროს მედალს შეიდი ჩვენებური შეხვდა — ლოკომოტიველები, მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია რუსეთში გაჩემპიონდნენ, „ანართოსისს“ კი თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, კლიმენტი წიტაიშვილი, გიორგი გაბიდაური და გოჩა ხოჯავა შეეშველნენ კვიპროსის ჩემპიონობაში.

**კახა შალამბერიძე**

# შუბითიძემ ზანქტ პაული იპოვა



**30 წლის** ქართველი ფორვარდი ხვიჩა შუბითიძე ახალი სეზონიდან გერმანული ჩრდილოეთ რეგიონალლიგის „ზანქტ პაულში“ ითამაშებს. ხვიჩა ამჟამინდელ კლუბ აუე-ს ამაყად ტოვებს: მართალია, წლეულს ძირითადში იშვიათად ხვდებოდა და 18 თამაშში ოდენ 2 გოლი შეაგდო, მაგრამ ორი წლის წინ სწორედ მისი წყალობით გადავიდა აუე მეორე ბუნდესლიგაში.

შუბითიძეს აუე-სთან ივნისში უმთავრდებოდა კონტრაქტი და შესაბამისად, „ზანქტ პაულმა“ იგი უფასოდ გადაიბირა.

„ზანქტ პაული“ [illegible] რეგიონალლიგის დასრულებამდე სამი ტურით ადრე [illegible] ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი აღარ შერჩენია. მართალია, ქვედა ლიგაში გადასვლა არცთუ სასიამოვნოა, მაგრამ არც შუბითიძეა თინეიჯერულ ასაკში „ბაიერნზე“ და „შალკეზე“ რომ ეფიქრა...

**ილია ნანოგაშვილი**

# ისევ ყიფშიძე...

## სიონი პირველ ეტაპს დაუბრუნდა

**ბოლნისის** „სიონს“ დარჩენილ სამ ტურში გიორგი ყიფშიძე უთავკაცებს. კლუბის ხელმძღვანელობამ ახლახან მწვრთნელობიდან გადააყენა მერაბ კოჭლაშვილი, რომელსაც შედეგები დაუწუნა. კოჭლაშვილი მხოლოდ 7 ტურში წვრთნიდა „სიონს“ და, მართალია, უკლებლივ ყველა ლიდერთან წააგო, მაგრამ 4 თამაშის მოგება მაინც მოასწრო, რითაც არგასავარდნ მერვე ადგილზე ააცოცა გუნდი.

გეხსომებათ, შარშან ყიფშიძე „სიონის“ მეორე მწვრთნელი იყო, მიმდინარე სეზონშიც ჯერ გიგლა იმნაძეს, მერე კი კოჭლაშვილს ასისტენტობდა, თუმცა პირველ ეტაპზე მთავარი მწვრთნელიც გახლდათ და აგერ, ისევ დაბრუნდა ამ პოსტზე.

„ამ სამ თამაშში მე გავუძღვები გუნდს, ახალი სეზონიდან კი რა მოხდება, არ ვიცი“ — გვითხრა გუშინ ყიფშიძემ.

**ილია ნანოგაშვილი**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

**ყაზახეთის** ნაკრების თავკაცმა სერგეი ტიმოფეევმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორი მოახლოებული მატჩისთვის შერჩეულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. ყაზახები 4 ივნისს უკრაინას სტუმრობენ, ოთხ დღეში კი თურქებს უმასპინძლებენ.

ტიმოფეევის სიაში სამად სამი ლეგიონერია, სამივე რუსეთში მოთამაშე — ტომელი ალექსანდრ ფამილცევი, მოსკოველი რუსლან ბალტიევი და შინიკელი რინატ დუბინსკი.

***მეკარეები:*** *იური ნოვიკოვი (ირტიში), ალექსანდრ მოკინი (ჟენისი);*

***მცველები:*** *ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი), იგორ ავდეევი (შახტიორი), სამატ სმაკოვი (კაირატი), რინატ დუბინსკი (შინიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ჟენისი);*

***ნახევარმცველები:*** *რუსლან ბალტიევი (მოსკვა, რუსეთი), ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), რაფაელ ურაზბახტინი (ჟეტისუ), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), ანტონ ჩიჩულინი (ჟენისი), მაკსატ ბაიჟანოვი (ირტიში), კაირატ უტუბაევი (კაირატი), სერგეი ლარინი (ალმათი), მაქსიმ აზოვსკი (ალმათი), ანდრეი ტრავინი (ალმათი);*

***თავდამსხმელები:*** *ოლეგ ლიტვინენკო (ალმათი), დენის როდიონოვი (ატირაუ), მურატ ტლეშევი (ირტიში), ალექსანდრ კროხმალი (ორდაბასი).*

შეგახსენებთ, რომ ხუთი ტურის მერე ყაზახეთის ნაკრები ნული ქულით ბოლო ადგილზეა მეორე შესარჩევ ჯგუფში.

**კახა შალამბერიძე**

# თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14' ელექტრონული ფოსტა: Starmall@Caucasus.net

# უეფას თასი 2004-2005. ფინალი. დღეს

## სპორტინგი

76. რიკარდუ (29 წლის). პორტუგალიის ნაკრების მეკარე „სპორტინგში“ ორი წლის წინ „ბოავიშტადან“ გადავიდა. „ალკმაართან“ ნახევარფინალური მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთზე სასწაულებრივი ნახტომით ბურთი კარიდან გამოაძრო.

4. ანდერსონ პოლგა (26). ბრაზილიელი მცველი, რომელიც ამ სეზონში საუცხოოდ თამაშობს.

14. ენაკარხირე (22). ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელი. „სპორტინგში“ ლიეჟის „სტანდარდიდან“ შარშან გადავიდა. ძლიერი ცენტრალური მცველია, მეტსახელად „კლდე“.

23. რუი ჟორჟე (32). პორტუგალიის ნაკრებისა და „პორტუს“ ყოფილი მცველი. მარცხენაფლანგელია და შეტევაში კარგად ჩართვა ეხერხება.

45. უგო ვინა (22). ნიჭიერი გამთამაშებელი, რომელსაც არაერთი კოხტა გოლი გაუტანია. 2002 წელს „ნიუკასლში“ გადავიდა, მაგრამ შარშან უკანვე დაბრუნდა.

26. როჩემბაკი (23). გუნდის ნახევარდაცვის „ზურგია“. „ბარსელონამ“ სამი წლით „სპორტინგს“ დაუთმო და ლისაბონში მეორე სეზონს ატარებს.

37. როჟერიუ (31). „სპორტინგში“ შარშან, „პალმეირასიდან“ გადავიდა. ბრაზილიის რვაგზის ჩემპიონია. მარჯვენა ნახევარმცველია და შუაში თამაშიც შეუძლია.

8. პედრუ ბარბოსა (34). 1995 წლიდან „სპორტინგშია“. პორტუგალიის ნაკრებში 21-ჯერ უთამაშია. ევრო 96-ისა და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატების მონაწილე.

27. კუშტუდიუ (21). პორტუგალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი.

17. დუალა (26). კამერუნელი ფორვარდი, რომელიც ორი წლის წინ „ლეირიადან“ გადაიყვანეს, ძალიან სწრაფია და ორივ ფლანგზე თამაში ეხერხება.

31. ლიდსონი (27). „სპორტინგისა“ და პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. უეფას თასზე ცხრა გოლი გაიტანა.

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე“. მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი). 22.45

## სპორტინგი — ცსკა

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| 76. რიკარდუ; 4. ანდერსონ პოლგა, 14. ენაკარხირე, 23. რუი ჟორჟე; 45. უგო ვიანა, 26. როჩემბაკი, 37. როჟერიუ, 8. პ. ბარბოსა, 27. კუშტუდიუ; 17. დუალა, 31. ლიდსონი<br>მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო | 1. აკინფეევი; 2. შემბერასი, 4. იგნაშევიჩი, 24. ვ. ბერეზუცკი, 15. ოდია; 7. დანი კარვალიუ, 22. ალდონინი, 25. რახიმიჩი, 9. ოლიჩი; 18. ჟირკოვი, 11. ვაგნერ ლავი<br>მწვრთნელი: ვალერი გაზაევი |

**დისკვალიფიცირებულნი**

| | |
|---|---|
| არავინ | არავინ |

**ტრავმირებულნი**

| | |
|---|---|
| არავინ | არავინ |

# ეს ისეთი ჯილდოა...

## რუსებს პოლი არ მოსწონთ





ჟოზე პეშეიროომ და ვალერი გაზაევმა პრესკონფერენციაზე ერთმანეთს გუნდები უქეს

**მოსკოვის** ცსკა-ს პორტუგალიაში მოგზაურობა დაებედა. შარშან, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „პორტუს“ ორჯერ შეხვდა. სტუმრად უგოლოდ დაუზავდა, შინ კი 0:1 წააგო. ლიგიდან უეფას თასზე გადანაცვლებულ არმიელებს წილისყრამ მეტოქედ ლისაბონის „ბენფიკა“ არგუნა. კრასნოდარში ცსკა-მ 2:0 მოიგო, ლისაბონში კი მატჩი 1:1 დამთავრდა. მოსკოველები ახლა უკვე მესამედ გაემგზავრნენ პორტუგალიაში (ზედიზედ მეორედ ლისაბონში) და ისევ იმ სასტუმროში დაბინავდნენ, სადაც „ბენფიკასთან“ მატჩამდე ცხოვრობდნენ. მეტიც, მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა სასტუმროს უკვე ნაცნობი ნომრები შეუკვეთეს.

ცსკა მეორე რუსული გუნდია, ევროთასის ფინალში გასვლა რომ მოახერხა. აქამდე, 1972 წელს, მოსკოვის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასის ფინალში გლაზგოს „რეინჯერსთან“ 2:3 წააგო. ცსკა-ს მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ეიფორიაში არ ვართ. გუნდმა ისე იარა ფინალამდე, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. მიზნად ფინალში გასვლა დავისახეთ და მივაღწიეთ კიდეც. მე შევძელი, დამერწმუნებინა ფეხბურთელები, რომ მათ ნებისმიერი მეტოქის ძლევა ხელეწიფებათ. ისინი ნიჭიერები არიან და ჯილდოების მოგება სურთ. გამარჯვება მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოდის. ევროსეზონი ცსკასთვის შარშან დაიწყო და თითქმის ათ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში გუნდი მოღონიერდა, უფრო თავდაჯერებული გახდა და გამოცდილებაც შეიძინა. სწორედ გამოცდილება არ გვეყო საიმისოდ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავსულიყავით. მართალია, „სპორტინგს“ საკუთარი მოედანი უპირატესობას აძლევს, მაგრამ ნუ დაგვიწყდება, რომ პორტუგალიის ნაკრებმა შარშან, შინ საბერძნეთთან ევრო 2004-ის ფინალი წააგო.“

მოსკოველთა ბრაზილიელი ფორვარდი ვაგნერ ლავი კი ფინალში გოლის გატანაზე ოცნებობს: „ასეთი სურვილი ალბათ ყველა ფეხბურთელს აქვს და ცხადია, მე გამონაკლისი არ ვარ. მჯერა, რომ გოლს გავიტან. ჩვენი გუნდი საუცხოო ფორმაშია და ფინალის მოგება შეუძლია. ცსკა-ში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ჯანს არ დავზოგავ საიმისოდ, რომ უეფას თასი მოსკოვში წავიღოთ. „სპორტინგის“ ბრაზილიელ ლიდსონს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ „კორინთიანსში“ და „ფლამენგოში“ როცა იყო, მისი გოლები ენახე ის დიდებული ფორვარდია“.

ცსკა-მ ისე მიაღწია ფინალს, რომ სტუმრად მატჩი არ მოუგია. ამის თაობაზე მეკარე იგორ აკინფეევმა თქვა: „არა უშავს, ლისაბონიდან დავიწყებთ“.

ელვირ რახიმიჩი: „რა? გასვლაზე არ მოგვიგია? დროა, ტრადიცია დავარღვიოთ. მერე რა, რომ „სპორტინგი“ შინ თამაშობს. რაც არ უნდა იყოს, ეს ფინალია. ჩვენ „პორტუს“ და „ბენფიკას“ ვიცნობთ და პორტუგალიური გუნდების სათამაშო ყაიდაც თითქმის ერთნაირია, თუმცა „სპორტინგი“ მოკლე პასებითაც გამორჩევა“.

ვალერი გაზაევს მხოლოდ ივიცა ოლიჩის ტრავმა ადარდებს. „ზენიტთან“ სათასო მატჩში ოლიჩს მეტოქემ ცხვირი გაუტეხა, მაგრამ ცსკა-ს ფორვარდმა გუშინ განაცხადა, ფინალი ისეთი რამაა, უცხვიროდაც ვითამაშებო.

ლისაბონის „ჟოზე ალვალდე“ კი ის სტადიონია, რომელზეც შარშან, ევრო 2004-ის ნახევარფინალში პორტუგალიამ ჰოლანდიას მოუგო. ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე გადაწყდა, რომ საამსეზონო უეფას თასის ფინალს ლისაბონი უმასპინძლებდა. თითქოს წინასწარ იცოდნენ, რომ „სპორტინგი“ ფინალში გავიდოდა.

გასულ უქმეებზე „სპორტინგმა“ „ბენფიკასთან“ წააგო და ჩემპიონობაზე ხელი ჩაიქნია. ამიტომაც თქვა „თეთრ-მწვანეების“ მწვრთნელმა ჟოზე პეშეირომ, ცსკა-ს დასაკარგი არაფერი აქვს, ჩვენ კი, თუ ვერ მოვიგეთ, სეზონი ჩაფლავებული გამოგვივაო.

„ცსკა-ს ფავორიტად არ თვლიან და ჩემს რუს კოლეგას ამ ფაქტის სათავისოდ გამოყენება შეუძლია. „სპორტინგი“ შეეცდება, ისე ითამაშოს, როგორც აქამდე თამაშობდა. ბურთი უნდა „დავიჭიროთ“, შევუტიოთ და ტემპი ვაკონტროლოთ. ფეხბურთელები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ, თუმც ცოტა ნერვიულობენ, რადგან შინაურ სტადიონზე უპირატესობასთან ერთად პასუხისმგებლობაც მეტია. ასეთი მატჩების შედეგის პროგნოზირება არარეალურია. ერთმანეთს ორი ძლიერი გუნდი ხვდება და ორივეს მოგების თანაბარი შანსი აქვს. ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია არ სჭირდებათ. ისინი პროფესიონალები არიან და იციან, რომ ევროთასის მოგების შანსი ყოველ წელიწადს არ ექნებათ. უკვე სამი წელია, „სპორტინგი“ ყველა ტურნირში ხელმოცარული რჩება და მოთამაშეებს ჯილდოები მოსწყურდათ. უეფას თასის მოგება იდეალური საჩუქარი იქნება კლუბის ასწლოვანი იუბილეისთვის“.

დღევანდელი მატჩის მთავარი არბიტრი 41 წლის გრემ პოლი იქნება, რომელსაც ფინალი აქამდე არ განუსჯია. რუსებმა პოლი მას შემდეგ აითვალწუნეს, რაც ინგლისელმა სლოვენია-რუსეთის შეხვედრის (მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი) ბოლო წუთზე მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პორტუგალიურ გუნდებს გრემ პოლის ნამსაჯ მატჩებში არასდროს წაუგიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ცსკა

1. აკინფეევი (19 წლის). რუსეთის პრემიერლიგაში მისი დებიუტი 2003 წელს შედგა და პირველივე მატჩში პენალტი მოიგერია. მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა.

2. შემბერასი (26). ლიტველის კვალობაზე ძალიან ფიცხია და არაერთხელ გაუძევებიათ.

4. იგნაშევიჩი (25). ცენტრალური მცველი, რომელსაც ნახევარდაცვაში თამაშიც შეუძლია. ცსკა-ში ორი წლის წინ „ლოკომოტივიდან“ გადავიდა.

24. ვასილი ბერეზუცკი (22). თავით კარგად თამაშობს და „პარმას“ მესამეგოლი სწორედ მან გაუტანა.

15. ოდია (21). მოსკოვურ გუნდში 2004 წელს „შერიფიდან“ გადავიდა და უმალ ძირითად შემადგენლობაში დაიბევა ად გილი. საკმაოდ სწრაფი მარჯვენაფლანგელია.

7. დანი კარვალიუ (22). ვალერი გაზაევის ჯილდო ბრაზილიელი ამ სეზონში გუნდის უმთავრესი მოთამაშეა.

22. ალდონინი (25). საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც რუსეთის ნაკრებში სმერტინი შეცვალა.

25. რახიმიჩი (29). ბოსნიელ ლეგიონერს დაცვაში თამაშიც კარგად ეხერხება და შეტევაშიც. ცსკა-ში მეოთხე სეზონს ატარებს.

9. ოლიჩი (25). ცსკა-მ ხორვატი ფორვარდის სანაცვლოდ 2003 წელს რუსეთის კლუბებისთვის სარეკორდო თანხა, ექვსი მილიონი დოლარი გადაიხადა. ივიცა ოლიჩმა 60 მატჩში 23 გოლი გაიტანა.

18. ჟირკოვი (21). მარცხენაფლანგელი, რომელმაც გუნდში უმალ დამკვიდრა ადგილი და თებერვალში, იტალიასთან ამხანაგურ მატჩში მისი სანაკრებო დებიუტიც შედგა.

11. ვაგნერ ლავი (20). „პალმეირასიდან“ შარშან გადავიდა ცსკა-ში და ზამთარში სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მოსკოვში ძალიან ცივაა. 35 მატჩში 16 გოლი მიითვალა — აქედან ოთხი ჩემპიონთა ლიგაში გაიტანა, სამი კი უეფას თასზე.

# მშვიდობით მანჩესტერ იუნაიტედ, შენ ჩემი ცხოვრება იყავი!

*მალკოლმ გლეიზერის წილმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გუშინ 75 პროცენტს უწია და ამ დროიდან კლუბი მის კერძო კომპანიად იქცა. ეს ნიშნავს, რომ „მანჩესტერს“ აღარ ექნება და გლეიზერს აღარანაირი თათბირი არ სჭირდება სხვა მეწილეებთან. თუ გლეიზერი თავისი აქციების ოდენობას 90 პროცენტამდე აიყვანს, მაშინ დარჩენილი 10-ის კანონის ძალით შესყიდვა შეეძლება. „მანჩესტერის“ ფანები კი კვლავაც აგრძელებენ წინააღმდეგობას და აცხადებენ, რომ ეს კლუბის სიკვდილია*

მალკოლმ გლეიზერს „მანჩესტერის“ ფანები ვერ შეიყვარებენ

**პროტესტი** გაგრძელდება შაბათსაც, კარდიფის „მილენიუმზე“, სადაც „მანჩესტერი“ „არსენალს“ ხვდება ასოციაციის თასის ფინალში.

ამასთანავე, გლეიზერს ძალიან ძვირი დაუჯდა კლუბის აქციები და ისინი რეალურზე მაღალი ფასით იყიდა. „ტოტენჰემის“ ყოფილი პატრონი და მილიარდერი ალან შუგარი ამბობს: „არ ჩანს, რომ ეს მომგებიანი შეთანხმება იყო გლეიზერისთვის“.

პრემიერლიგის შეფმა, რიჩარდ სკადამორმა ისიც უარყო, რომ გლეიზერი ტელეკონტრაქტის კოლექტიური შეთანხმებიდან გაიყვანს „მანჩესტერს“ და მეტ ფასს მოითხოვს. პრემიერლიგის კლუბების ბოსებმა უკვე მოუწოდეს ამერიკელს, რომ ასე არ მოიქცეს.

„მანჩესტერის“ ფანები კი კარდიფელ პოლიციელებსა და სტიუარდებს ჰპირდებიან, რომ შაბათს კლუბს ნამდვილ სამგლოვიარო პროცესიას მოუწყობენ. გასულ კვირას ფანები აქტიურობდნენ საუთჰემპტონის „სენტ მერიზეც“, სადაც პოლიციამ სამი კაცი დააკავა. ერთ-ერთ შავ ბანერზე ეწერა: „მშვიდობით მანჩესტერ იუნაიტედ, შენ ჩემი ცხოვრება იყავი!“

საერთოდ კი, გულშემატკივრები თვლიან, რომ მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი და ფეხბურთის ყველაზე წარმატებული საწარმო მალე ვალებში ჩაეფლობა, რადგან გლეიზერმა კრედიტებით შეიძინა „მანჩესტერის“ აქციები.

სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ გლეიზერი ტელეკონტრაქტის გადახედვას მოითხოვს. ამ კონტრაქტში ყველა [illegible] გუნდი ერთად [illegible] „მანჩესტერი“ წელიწადში 30 მილიონ გირვანქას იღებს პრემიერლიგის მატჩების ტელერეპორტაჟებში. ამ თანხის გაზრდა, ანუ მეტის მოთხოვნა შეიძლება, თუმცა გლეიზერს კიდევ 13 კლუბის თანხმობა დასჭირდება.

გლეიზერი კი უფრო ფანებზე ფიქრობს. სერ ალექს ფერგიუსონს მისი ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ და ჰკითხეს, რაიდენი უნდა, რათა კლუბში დარჩეს. გლეიზერს ახლა ძალიან სჭირდება ფერგი „ოლდ ტრეფორდის“ გულის მოსაგებადაც და გუნდის შესანარჩუნებლადაც.

„მანჩესტერი“ კი ფინალისთვის ემზადება. პრობლემა ერთია: ბოლ სქოულზს საზარდულის ტრავმა აქვს და მზადყოფნის ტესტი უნდა გაიაროს.

დიდია დანაკლისი „არსენალშიც“: „ევერტონთან“ მატჩში ტიერი ანრიმ აქილევსის მყესი დაიზიანა და ნამდვილად ვერ ითამაშებს „კარდიფში.

**ირაკლი გამყრელიძე**



ვანდერლეი ლუშემბურგოს ფაბიო კაპელო არ ჩაენაცვლება

# გავუშვათ, თუ არ გავუშვათ

## რეალმა ლუშემბურგოზე არაფერი თქვა, კაპელო კი გამორიცხა

**მადრიდის** „რეალმა“ ჩემპიონობა ვერ მოიპოვა და ესპანურ პრესაშიც ახლანდელი დამრიგებლის, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგოს სავარაუდო შემცვლელზე უკვე ალაპარაკდნენ.

ცნობილია, ოკეანისგაღმელ „ლუშეს“ საქმიანობას „რეალის“ თავკაცთა შორის ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა ისეთებიც საკმაოდ არიან, რომელთაც მისი საბედისწერო შეცდომები, კერძოდ, სამეფო თასზე „ვალიადოლიდთან“ მარცხი, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ვერ უპატიებიათ. ყველაფერ ამას ესპანეთის ჩემპიონატში „რეალის“ მეორე ადგილიც დაერთო და...

უპირველესი კანდიდატურა იტალიელი ფაბიო კაპელო ყოფილა, ოღონდ მის დანიშვნას კლუბის სპორტული დირექტორი არიგო საკი პირადად ეწინააღმდეგება. ეს ორი აპენინელი ერთმანეთში მთლად დალხინებული ურთიერთობით ვერ დაიკვეხნის და ამიტომაც სენიორ არიგო სენიორ ფაბიოს ესპანეთში ჩასვლას მხარს არ დაუჭერსო.

რჩება სათადარიგო ვარიანტი: გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, მალე კასტილიური გრანდის შეფობა ცნობილ არგენტინელ სპეციალისტ კარლოს ბიანკის დაუკავშირდება. თუმცა, ჯერ ვანდერლეი ლუშემბურგოს ბედი უნდა გადაწყდეს — „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ჯერჯერობით გუნდის მწვრთნელად ბრაზილიელის დარჩენის მომხრეა.

**ლადო ხომერიკი**

# მიდლსბროს აიეგბენი დაიბეგა

**ინგლისურმა** „მიდლსბრომ“ „პორტსმუთის“ ნიგერიელი ფორვარდი იაკუბუ აიეგბენი შეიძინა და მის სანაცვლოდ 6 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა. აიეგბენი ახალ გუნდს პირველი ივლისიდან შეუერთდება, მანამდე კი მიდლსბროში სამედიცინო შემოწმება გაიარა და პირადი კონტრაქტის პირობებიც შეათანხმა.

მომავალი სეზონიდან სტივ მაკლარენის გუნდი უეფას თასზე ითამაშებს და მწვრთნელმაც შემადგენლობის გაძლიერება აქედანვე დაიწყო — ჯერ კიდევ ბრაიან რობსონის მწვრთნელობისას, „მიდლსბრომ“ შილარდ ნემეტი გადაიბარა, მაკლარენის მისვლის შემდეგ კი კლუბისთვის სარეკორდო ტრანსფერი გაიჩარხა — მასიმო მაკარონე „ემპოლიდან“ 9 მილიონ გირვანქად შეიძინეს, თუმც იტალიელი შარშან, სამშობლოში დაბრუნდა.

შარშანვე, ზაფხულში სტივ მაკლარენმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და მარკ ვიდუკაც გადაიყვანა, მაგრამ ვიდუკა ტრავმის გამო არ თამაშობდა. „მიდლსბროს“ მწვრთნელს ასევე სურს, რომ მომავალი სეზონისთვის ბუდეევინ ზენდენი და ბრაზილიელი ჟუნიორ დორივა შეინარჩუნოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მოიესმა მაურინიუს აჯობა

## დევიდი საუკეთესოა

**ლივერპულის** „ევერტონის“ თავკაცი დევიდ მოიესი პრემიერლიგის წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. მეორე ადგილზე „ჩელსის“ პორტუგალიელი მენეჯერი ჟოზე მაურინიუ გავიდა, ხოლო მესამე „ლივერპულის“ დამრიგებელი რაფაელ ბენიტესია.

მოიესმა მართლაც სერიოზული სამუშაო გასწია. „ევერტონი“ მან გასულ სეზონში ჩაიბარა და რთულ ვითარებაში მყოფი გუნდი ისტორიაში პირველად გადაარჩინა პრემიერლიგიდან გავარდნას.

მოგეხსენებათ, შარშან ლივერპულელები ბოლოდან მეოთხე ადგილზე გავიდნენ, ახლა კი ყველაფერი შეტრიალდა. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე სპეციალისტები „ევერტონს“ კვლავ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატად თვლიდნენ.

„სეზონის დაწყებამდე ჩვენ გუნდის ლიდერი უეინ რუნი მოგვაკლდა, რაც მძიმე დარტყმა იყო. შესაბამისად, ყველა იმაზე ვფიქრობდით, შევძლებდით თუ ვერა პრემიერლიგაში დარჩენას. განწყობა პესიმისტური არ იყო, თუმცა ასეთ წარმატებას ნამდვილად არავინ ელოდა. ბუნებრივია, ძალიან გახარებული ვარ“ — აღნიშნა 42 წლის სპეციალისტმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

დევიდ მოიესი პრემიერლიგის რჩეული მწვრთნელია

# საინტერესო ამბები

*მილანის „ინტერი“ მიმდინარე სეზონს ოდნავ უკეთ ატარებს. გუნდის ხელმძღვანელობა რობერტო მანჩინის მუშაობით უკმაყოფილო არ არის და უკვე მომავალზე ფიქრობს. სავარაუდოდ, „ნეროაძური“ ზაფხულში კიდევ რამდენიმე სერიოზულ ტრანსფერს განახორციელებს. მითქმა-მოთქმა უკვე დაიწყო, ამბობენ, „შავ-ლურჯებს“ „ანდერლეხტის“ შვედ ნახევარმცველ კრისტიან ვილჰელმსონისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელ იონ არნე რიისეს დამატება უნდათო. ამასობაში, ობაფემი მარტინსი ხელფასის გაზრდას ითხოვს, კრისტიან ვიერიმ კი ჯამაგირის შემცირებაზე ცივი უარი განაცხადა. აქვე ვახსენოთ ედგარ დავიდსი და ნიკოლას ბურდისოც. პირველი „აიაქსში“ აპირებს დაბრუნებას, ხოლო მეორე — „ბოკა ხუნიორსში“*



ობაფემი მარტინსს და კრისტიან ვიერის „ინტერში“ სახელფასო პობლემები აქვთ

„იტალიელებმა ჩემს სანახავად რამდენჯერმე გამოგზავნეს სკაუტები, მაგრამ სერიოზული წინადადებით ჯერ არ მოუმართავთ. „ინტერი“ დიდი კლუბია და უძლიერეს ჩემპიონატში თამაშობს. შესაბამისად, მათი ჩემდამი ყურადღება ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ყველაფერი „ანდერლეხტზეა“ დამოკიდებული, სიტუაცია საბოლოოდ ზაფხულში გაირკვევა“ — აღნიშნა ვილჰელმსონმა.

პირველი სეზონი არ არის, რაც ბრიუსელელთა შვედი გარემარბი ბობოლა კლუბების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჟამად მისი შეძენა ლონდონის „ტოტენჰემსაც“ სურს.

„ინტერი“ პარალელურად ნახევარდაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და იონ არნე რიისეს უტრიალებს. როგორც ირკვევა, დიდი ხანია, რაც რობერტო მანჩინის ნორვეგიელი ესიმპათიურება და აპირებს, მას მთელი მარცხენა ფლანგი ჩააბაროს. გავრცელებული ცნობით, მილანელები „ლივერპულს“ გარკვეულ თანხას და ალვარო რეკობას სთავაზობენ, თუმც თუ მერსისაიდელები სკანდინავიელის გასხვისებას დათანხმდნენ, „ინტერს“ „რეალთანაც“ მოუწევს ჭიდილი, რადგანაც რიისეს თვალი მადრიდელებმაც დაადგეს.

მიმდინარე სეზონში „ინტერის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ობაფემი მარტინსია. ახალგაზრდა ნიგერიელმა 40 მატჩში 21 გოლის გატანა შეძლო და პარტნიორებსაც არაერთხელ გაუწია ასისტენტობა. ამ ყველაფრის ფონზე კი აფრიკელის ხელფასი — წელიწადში 400 ათასი ევრო — ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება, რადგანაც მისი თანაგუნდელების უმეტესობა გაჯილდოებით მეტს იღებს. შესაბამისად, ძალუბსმაც ჯამაგირის გაზრდა ითხოვა.

როგორც ამბობენ, ნიგერიელის ავენტმა კაილ დეკერმა გუნდის უფროსობას ახალი კონტრაქტის გაფორმება და სეზონში 1,7 მილიონი ევრო მოსთხოვა, მაგრამ მილანელები მხოლოდ 1 მილიონზე არიან ყაბულს.

„ინტერის“ მეორე თავდასხმელ კრისტიან ვიერის კი გუნდის ხელმძღვანელობამ ხელფასის საგრძნობლად შემცირებაზე წამოიყენა სიტყვა, მაგრამ „ბიბიმ“ ეს ვარიანტი თავიდანვე გამორიცხა და აღნიშნა, კონტრაქტის ბოლოამდე ალაფრის შეცვლას არ აპირებს. ხოლო დანარჩენზე მერე მოლაპარაკებთო.

ედგარ დავიდსი „ნეოიაქელის“ რიგებში ვერა და ვერ ათამაშა და, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ გუნდს გამოეკვლის — მილანდელი სავარაუდოდ, ძმობლიურ „აიაქსში“ დაბრუნდება მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

ბოლოს ნიკოლას ბურდისოზეც ვთქვათ. შესაძლებელია, იგი ძალიან ვალ სეზონში თავის ყოფილ კლუბში, „ბოკა ხუნიორსში“ გაანათხოვრონ, არგენტინელი მეკარე ძალიან სამშობლოშია და ოჯახურ პრობლემებს აგვარებს.

**გიორგი კაკაბაძე**

ალესანდრო დელ პიეროს და ზლატან იბრაჰიმოვიჩს „იუვენტუსი“ 28-ე სკუდეტოსკენ მიჰყავთ

# ზლატანი დაბრუნდა, ფერარა მიდის

*იტალიურმა „იუვენტუსმა“ ფაქტობრივად, გაინაღდა 28-ე სკუდეტო და სანახევროდ უკვე შემდეგ სეზონზე ფიქრობს.*

*სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მინდორზე დაბრუნებული ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჟურნალისტებმა კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. კლუბის პრეზიდენტი ფრანცო გრანდ სტივენსი ალექს დელ პიეროთი იყო კმაყოფილი, ხოლო ვეტერანმა ჩირო ფერარამ სერია A-ში მე-500 შეხვედრა გამართა და ჩემპიონატის ბოლოს კარიერას დაასრულებს. ამასობაში „ბოლონია“ „ბებერ ქალბატონს“ მურად მეგნის ადრიან მუტუში გაცვლას სთავაზობს*

**ტურინელმა** სასვლელმოხდილი შვედი ფორვარდი „პრმასთან“ ძველებურად ანუ კარგად ბურთაობდა. მისი თამაშით ჟურნალისტების გარდა, ცხადია, „იუვეს“ ხელმძღვანელებიც აღფრთოვანდნენ. ფრეის კარში გატანილი გოლი ზლატანისთვის მე-16 იყო ჩემპიონატში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უკვე გაიმეორა მიშელ პლატინის შედეგი — ამ უკანასკნელმა „ბებერი ქალბატონის“ მისურით გამართულ პირველ სეზონში სწორედ 16 ბურთი შეაგდო.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, სკუდეტო თითქმის გავინაღდეთ. მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა, განსაკუთრებით კი დელ პიეროს გამოვარჩევდი“ — თქვა ფრანცო გრანდ სტივენსმა.

„იუვენტუსის“ კაპიტანი ბოლო დროს ურიგოდ მართლაც არ თამაშობს და იბრაჰიმოვიჩთან ერთად გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. ეს ყველაფერი კი შედარებით ჩრდილში ტოვებს დავიდ ტრეზეგეს, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

38 წლის ჩირო ფერარა კი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს და „იუვენტუსის“ ახალგაზრდულ გუნდში დირექტორად დაიწყებს მუშაობას. ვთქვათ ისიც, რომ მისი გამოსათხოვარი მატჩი მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში 9 ივნისს იგეგმება.

„ვიცით, რომ „იუვენტუსი“ მეგნით არის დაინტერესებული და ჩვენ ამ ტრანსფერს 6,5 ევროდ ვაფასებთ. გარდა ამისა, ძალიან გვინდა ადრიან მუტუს დამატება და, თუ ტურინელები მას დაგვითმობენ, მეგნის ტრანსფერზე მოლაპარაკება არ გაგვიჭირდება. აქ საკუთარი თავის ხელახლა პოვნა ბეპე სინიორიმ, რობერტო ბაჯომ და ჯანლუკა პალუკამ შეძლეს. დარწმუნებული ვარ, ამას მუტუც მოახერხებს“ — განაცხადა „ბოლონიას“ მფლობელმა ჯუზეპე გაცონიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# თურქულ-ფრანგული როქი

**წამყვანი** თურქული ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, რომ მომავალი სეზონიდან ორ სტამბოლურ გრანდს, „ფენერბაჰჩესა“ და „გალათასარაის“ ახალი მწვრთნელები ეყოლებათ. ადგილობრივი პრესის ცნობით, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ კლუბებს ოფიციალური კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ.

როგორც ამბობენ, „ფენერს“ სეზონის ბოლოს კრისტოფ დაუმი დატოვებს. გერმანელი სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება, ხოლო მის ადგილს „ლიონის“ წარმატებული თავკაცი პოლ ლე გუენი დაიკავებს. ფრანგ სპეციალისტს გუნდთან უკვე ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმებია და ამ ხნის განმავლობაში 6,6 მილიონ ევროს მიიღებს.

რაც შეეხება გალათასარაის“, გუნდის უფროსობა გეორგე ჰაჯის მუშაობით კმაყოფილი არ არის, რადგანაც შესაძლებელია, ჩემპიონობის და ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს. სტამბოლელთა ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა გასულ უქმეებზე აევსო, როდესაც „გალამ“ საკუთარ კედლებში წააგო „გენჩლერთან“ 1:2. „კარპატების მარადონად“ შერაცხულ რუმინელს სავარაუდოდ ასევე ფრანგი ჟან ტიგანა შეცვლის.

ჟან ტიგანას „გალათასარაიში“ იწვევენ...

ყველაფერი საბოლოოდ სეზონის ბოლოს გაირკვევა. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ფენერბაჰჩე“ „გალათასარაის“ 4 ქულით უსწრებს, ხოლო მესამე ადგილისას „ტრაბზონს“ ლიდერზე 6 ქულით ნაკლები აქვს.

დამდეგ უქმეებზე ერომანეთის სწორედ „ფენერი“ და „გალა“ ხვდებიან.

**გიორგი კაკაბაძე**



... პოლ ლე გუენს კი „ფენერბაჰჩეში“

# ეტოო მადრიდს მოუბოდიშა
## მაპატიეთ, სხვანაირად გამოვივიდაო



სამუელ ეტოომ პრესკონფერენციაზე თავი იმართლა

„ბარსელონას“ მეგოლე, კამერუნელი სამუელ ეტოო საჯაროდ აცხადებს, ძალიან შევცდი, „სამეფო კლუბი“ აუგად რომ მოვიხსენიეო.

მოგეხსენებათ, სამუელ ეტოოს თავისი ყოფილი კლუბი, მადრიდის „რეალი“ ორიოდე დღის წინ მწარედ შემოელანძღა — „ბარსას“ რიგით მე-17 საჩემპიონო ზეიმზე, „კამპ ნოუზე“ შეკრებილი 100 ათასი ინჩასის თვალწინ „რეალზე“ ნაწყენმა აფრიკელმა მიკროფონში რამდენჯერმე დაიყვირა, მადრიდელო ნაბიჭვრებო, ახლა ნამდვილ ჩემპიონებს მიესალმეთ.

„ამ დილით მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს, მადრიდული გაზეთები დამეთვალიერებინა. ყველგან ეწერა, რომ „რეალი“ განზრახ დავამცირე და ამით მის ფანებს საშინელი შეურაცხყოფა მივაყენე. ის სიტყვები განგებ არ მითქვამს, უბრალოდ, მინდოდა, „ბარსას“ საჩემპიონო ზეიმზე რაღაც კარგი, ფესტის შესაფერისი მემღერა, რაც, სამწუხაროდ, ხალხმა სხვანაირად გაიგო. მსურს, „რეალს“ და მის ინჩასობას ბოდიში მოვუხადო. ვინმეს დამცირება და დაცინვა აზრადაც არ მომსვლია“ — განაცხადა გუშინ კამერუნელმა პრესკონფერენციაზე.

თავად რეალელები კი ძველი თანაგუნდელის როყიო სიტყვებს მკვეთრად არ გამოხმაურებიან.

„ეტოოს ბოდიში სავსებით მისაღებია ჩვენთვის“ — აღნიშნა „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ.

„რაც არ უნდა თქვას, მე ეტოოს მაინც ჩემს მეგობრად ვთვლი“ — ამბობს ხოსე მარია გუტი.

„ყველას შეუძლია აზრის გამოთქმა, მითუმეტეს, თითოეულმა, ზრდასრულმა ადამიანმა იცის, რომ პასუხს აგებს თავის ნათქვამზე“ — ეს კი ალბერტ სელადესის, ეტოოს ახლო ძმაკაცის სიტყვებია.

„მე ყველას დავურეკე და სათითაოდ ავუხსენი, „კამპ ნოუზე“ რისი თქმაც მსურდა. ვუთხარი, რომ ის სიტყვები შეცდომით იყო და ბიჭებმაც მთხოვეს, ყველაფერი დავივიწყო. რას იზამ, ასეთი რამისგან არავინაა დაზღვეული“ — თქვა ბოლოს სამუელ ეტოომ, რომლის გადამწყვეტმა გოლმაც „ბარსელონას“, 1999 წლის მერე ასე ნანატრი ჩემპიონობა მოუტანა.

**ლადო ხომერიკი**

პელემ ფრანგ ჟურნალისტებთან ფავორიტი გაამხილა

# პელემ თქვა ზიდანი

**მსოფლიო** ფეხბურთის ლეგენდა პელე კანის კინოფესტივალს ეწვია, სადაც მასზე გადაღებული მორიგი დოკუმენტური ფილმის ჩვენებას დაესწრო. გარდა ამისა, 64 წლის ბრაზილიელმა განცხადებებიც გააკეთა, რომელთაგან ერთ-ერთში მან ზინედინ ზიდანი ბოლო პერიოდის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა.

„ზიდანი უდავოდ ბოლო 10 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. ჟიგუ, ბექემი, რონალდო, კაკა, რაული და სხვები ასევე ძალიან კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ ზიდანი უფრო სტაბილური და მრავალმხრივია“ — აღნიშნა პელემ.

ცხადია, პელემ არც რონალდინიო დაივიწყა და თავისი თანამემამულე ამ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

**გიორგი კაკაბაძე**

# მასკერანოს ბედი კორინთიანსი ყოფილა



ხავიერ მასკერანო

**„რივერ პლეიტის“** არგენტინელი ნახევარმცველი ხავიერ მასკერანო მომავალი სეზონიდან ბრაზილიურ „კორინთიანსში“ ითამაშებს. იგი ახალ კლუბში უახლოესი 5 წლის განმავლობაში დარჩება, ხოლო „რივერ პლეიტი“ ტრანსფერში 12 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელები „რივერის“ ვარსკვლავის გადაბირებას იანვარშიც ცდილობდნენ, თუმცა „კორინთიანსის“ ყოფილი მწვრთნელის, დანიელ პასარელას პირადი მოსაზრებების გამო, მაშინ მოლაპარაკება ჩაიშალა. ამჯამად კი ორმხრივი შეთანხმებისთვის ხელი არავის შეუშლია. ხავიერ მასკერანო ბრაზილიაში ივლისში ჩავა.

„ეს ჩვენი გუნდისთვის მეტად საჭირო შენაძენია. დარწმუნებული ვარ, ხავიერ მასკერანო ტიტულებისთვის ბრძოლას გაგვიადვილებს“ — განაცხადა ალბერტო ფუჯიმორიმ, „კორინთიანსის“ პრეზიდენტმა.

**ლადო ხომერიკი**

# გერმანიას იმედი დაუელამდა
## ფილიპ ლამი ისევ საოპერაციოა

**გერმანული** ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი იმედი ფილიპ ლამი სერიოზულად დაშავდა. 21 წლის მცველს ერთ-ერთი ვარჯიშისას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და დაახლოებით 6 თვე ველარ ითამაშებს. იგი კონფედერაციის თასს (რომელიც 15-29 ივნისს გაიმართება) და მომავალი სეზონის პირველ ნახევარს გამოტოვებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წელია, ფილიპ ლამი „შტუტგარტის“ ლირსებას იცავს, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნის“ საკუთრებაა და ზაფხულში შეუერთდება კიდეც ფელიქს მაგათის გუნდს. ბუნებრივია, ეს ტრავმა მას ადგილის დამკვიდრებაში ხელს შეუშლის. მაგრამ მხარეები გეგმების შეცვლას არ აპირებენ.

რა გასაკვირია, რომ ტრავმამ ლამი ორმაგად დაამწუხრა, რადგანაც იანვარში მან ფეხი მოიტეხა და მინდორზე არც ისე დიდი ხნის დაბრუნებული იყო.

აქვე ვთქვათ, რომ „ბაიერნის“ მეორე ფეხბურთელ როი მაკაის ხელრს, კარიერა მიუნხენში დასრულოს. ჰოლანდიელი თავდამსხმელის თქმით, იგი და მისი ოჯახი გერმანიაში თავს ჩინებულად გრძნობენ.

**გიორგი კაკაბაძე**

## იტალია

სერია B. XXXVIII ტური

ტრიესტინა 1:1 ვენეცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 38 | 18 | 15 | 5 | 55:31 | 69 |
| ჯენოა | 38 | 17 | 17 | 4 | 64:39 | 68 |
| ტორინო | 38 | 18 | 10 | 10 | 43:29 | 64 |
| პერუჯა | 38 | 17 | 11 | 10 | 52:34 | 62 |
| ტრევიზო | 38 | 17 | 9 | 12 | 53:44 | 60 |
| ასკოლი | 38 | 15 | 11 | 12 | 47:48 | 56 |
| ვერონა | 38 | 14 | 13 | 11 | 57:46 | 55 |
| პიაჩენცა | 38 | 16 | 6 | 16 | 41:41 | 54 |
| მოდენა | 38 | 15 | 12 | 11 | 45:35 | 53 |
| ალბინოლეფე | 38 | 14 | 11 | 13 | 52:45 | 53 |
| ტერნანა | 38 | 13 | 13 | 12 | 46:48 | 52 |
| კატანია | 38 | 12 | 15 | 11 | 39:41 | 51 |
| ბარი | 38 | 12 | 14 | 12 | 36:35 | 49 |
| ვიჩენცა | 38 | 12 | 10 | 16 | 58:62 | 46 |
| ჩეზენა | 38 | 11 | 13 | 14 | 43:55 | 46 |
| არეცო | 38 | 10 | 14 | 14 | 46:50 | 44 |
| სალერნიტანა | 38 | 10 | 14 | 14 | 44:51 | 44 |
| პესკარა | 38 | 10 | 14 | 14 | 40:52 | 44 |
| ტრიესტინა | 38 | 11 | 11 | 16 | 39:51 | 44 |
| კროტონე | 38 | 10 | 13 | 15 | 38:43 | 40 |
| ვენეცია | 38 | 7 | 12 | 19 | 30:52 | 33 |
| კატანძარო | 38 | 5 | 10 | 23 | 35:71 | 25 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა*

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური

ალიანსი — კტპ 1:2; იარო — ინტერი 0:0; მარიეჰამნი — ლაჰტი 2:0; მიუპა — ჰიკ 1:1; ტპ 47 — ტამპერე 0:1; ტურკუ — კუოპიო 3:1; როვანიემი — ჰაკა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| კტპ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ჰიკ | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ჰაკა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ტურკუ | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| მარიეჰამნი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:1 | 6 |
| მიუპა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| ტპ 47 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ალიანსი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| კუოპიო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ლაჰტი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| როვანიემი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| იარო | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა

XXVI ტური

კრივბასი 1:1 ბორისფენი

ილიჩევეცი 2:1 ჩერნომორეცი

ოგოლონი 2:1 არსენალი

ტავრია 0:1 დინამო

ზაკარპატია 1:1 მეტალურგი (დ)

მეტალისტი 0:0 მეტალურგი (ზ)

შახტარი 1:0 ვორსკლა

ვოლინი 1:1 დნიპრო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 26 | 22 | 2 | 2 | 52:15 | 68 |
| დინამო | 26 | 20 | 4 | 2 | 50:11 | 64 |
| მეტალურგი (დ) | 26 | 13 | 5 | 8 | 32:29 | 44 |
| დნიპრო | 26 | 11 | 9 | 6 | 34:28 | 42 |
| ილიჩევეცი | 26 | 11 | 8 | 7 | 37:29 | 41 |
| ვოლინი | 26 | 11 | 7 | 8 | 33:29 | 40 |
| ჩერნომორეცი | 26 | 11 | 5 | 10 | 25:23 | 38 |
| ტავრია | 26 | 8 | 8 | 10 | 24:24 | 32 |
| მეტალურგი (ზ) | 26 | 6 | 11 | 9 | 21:28 | 29 |
| კრივბასი | 26 | 7 | 8 | 11 | 21:33 | 29 |
| მეტალისტი | 26 | 7 | 7 | 12 | 22:32 | 28 |
| არსენალი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:31 | 27 |
| ვორსკლა | 26 | 6 | 6 | 14 | 14:30 | 24 |
| ზაკარპატია | 26 | 4 | 10 | 12 | 15:26 | 22 |
| ბორისფენი | 26 | 3 | 10 | 13 | 14:27 | 19 |
| ოგოლონი | 26 | 4 | 7 | 15 | 16:39 | 19 |

## დანია

სუპერლიგა. XXVII ტური

სილკებორგი — მიდტიულანდი 0:1; ორჰუსი — ჰერფიოლგე 2:1; ნორდსიელანდი — ოლბორგი 0:1; ოდენსე — რანდერსი 2:1; ვიბორგი — ესბიერგი 2:1; ბრონდბიუ — კოპენჰაგენი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 27 | 16 | 8 | 3 | 42:16 | 56 |
| კოპენჰაგენი | 27 | 14 | 6 | 7 | 48:35 | 48 |
| ოლბორგი | 27 | 13 | 6 | 8 | 47:32 | 45 |
| მიდტიულანდი | 27 | 13 | 5 | 9 | 37:35 | 44 |
| ვიბორგი | 27 | 11 | 8 | 8 | 31:31 | 41 |
| ესბიერგი | 27 | 11 | 7 | 9 | 51:38 | 40 |
| ოდენსე | 27 | 10 | 8 | 9 | 49:33 | 38 |
| სილკებორგი | 27 | 10 | 6 | 11 | 41:42 | 36 |
| ორჰუსი | 27 | 10 | 5 | 12 | 39:43 | 35 |
| რანდერსი | 27 | 5 | 8 | 14 | 28:51 | 23 |
| ნორდსიელანდი | 27 | 5 | 6 | 16 | 28:51 | 21 |
| ჰერფიოლგე | 27 | 5 | 5 | 17 | 23:57 | 20 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური

ნანსი 1:0 ლე ავრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 36 | 20 | 7 | 9 | 52:32 | 67 |
| ლე მანი | 36 | 20 | 6 | 10 | 50:29 | 66 |
| ტრუა | 36 | 19 | 8 | 9 | 58:44 | 65 |
| დიჟონი | 36 | 14 | 14 | 8 | 42:30 | 56 |
| ბრესტი | 36 | 13 | 15 | 8 | 38:33 | 54 |
| სედანი | 36 | 15 | 9 | 12 | 36:36 | 54 |
| გენგამი | 36 | 14 | 10 | 12 | 48:40 | 52 |
| მონპელიე | 36 | 14 | 10 | 12 | 39:35 | 52 |
| შატორუ | 36 | 12 | 15 | 9 | 46:41 | 51 |
| გრენობლი | 36 | 12 | 11 | 13 | 43:46 | 47 |
| ლორიანი | 36 | 13 | 7 | 16 | 45:50 | 46 |
| ლავალი | 36 | 13 | 7 | 16 | 42:48 | 46 |
| გენიონი | 36 | 11 | 12 | 13 | 28:35 | 45 |
| ამიენი | 36 | 10 | 13 | 13 | 36:40 | 43 |
| ლე ავრი | 36 | 11 | 8 | 17 | 25:34 | 41 |
| კრეტეი | 36 | 9 | 13 | 14 | 35:37 | 40 |
| რეიმსი | 36 | 9 | 13 | 14 | 31:51 | 40 |
| კლერმონი | 36 | 8 | 14 | 14 | 34:36 | 38 |
| ანჟე | 36 | 8 | 14 | 14 | 31:41 | 38 |
| ნიორი | 36 | 8 | 8 | 20 | 31:52 | 32 |

## ნორვეგია

ტიპალიგა

VII ტური

ბრანი — ლილესტრიომი 6:2; ჰამ კამი — სტარტი 0:2; მოლდე — ალესუნდი 2:2; ოდ გრენლანდი — ლინი 0:2; რუსენბორგი — ვიკინგი 0:2; ტრომსიო — ბოდიო გლიმტი 2:2; ვოლერენგა — ფრედრიკსტადი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 7 | 6 | 0 | 1 | 13:6 | 18 |
| სტარტი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:7 | 16 |
| ბრანი | 7 | 4 | 1 | 2 | 17:10 | 13 |
| ლინი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:6 | 12 |
| ვიკინგი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| ლილესტრიომი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:13 | 10 |
| ტრომსიო | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| ფრედრიკსტადი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| რუსენბორგი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:10 | 7 |
| ჰამ კამი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| მოლდე | 7 | 2 | 1 | 4 | 9:17 | 7 |
| ალესუნდი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 5 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |

# ლივერპული იტალიური გუნდია

## კაკა ნერვიულობს და ექვსიანებს ჭკუას ეკითხება

*ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის ფინალი და მალე მთელი ევროპის ყურადღება სტამბოლისკენ იქნება მიმართული — „მილანი" თუ „ლივერპული"? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი არ არის, უფრო იოლი ფინალის მერე, „ეს ხომ ადრევე ვიცოდი"-ს განცხადება იქნება.*

*ქვემოთ კი გთავაზობთ იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის ინტერვიუს „მილანის" ბრაზილიელ ვარსკვლავ კაკასთან, რომლიდანაც შევეცდებით შევიტყოთ, თუ რა იცის კაკამ 25 მაისამდე ერთი კვირით ადრე*

**— ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე დღეებია დარჩენილი. რას ფიქრობთ და რას გრძნობთ „ლივერპულთან" თამაშის წინ?**

— ცოტა ვნერვიულობ, რადგან ეს ჩემს ცხოვრებაში ჩემპიონთა ლიგის პირველი ფინალია. სხვათაშორის, ასევეა კაფუსთვის, ერნან კრესპოსა და ვიკაშ დორასოსთვისაც. ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, რას უნდა ველოდეთ იქ და ამიტომ გამოცდილ თანაგუნდელებს, პაოლო მალდინისა და ბილი კოსტაკურტას ხშირად ვთხოვთ ცოდნის გაზიარებას. წარმოუდგენელია, მაგრამ მათ ექვს ფინალში უკვე უთამაშიათ.

**— „ლივერპულის" თამაში ტელევიზიით თუ გაქვთ ნანახი?**

— სამჯერ ვნახე, ორჯერ „ჩელსისთან", ერთხელ კი „არსენალთან". „ლივერპული" ძნელად დასამარცხებელი გუნდია, რომელსაც ჩინებულად ეხერხება კონტრშეტევებზე თამაში.

**— ანუ თვისებებით „ლივერპული" იმ პატარა იტალიურ გუნდებს ჰგავს, რომლებიც „სან სიროზე" ხშირად ჩამოდიან თავის დასაცავად და თქვენს კონტრშეტევაზე გამოსაჭერად. ასეა?**

— დიახ, მაგრამ ფინალი ფინალია და თქვენს მიერ ნახსენები თამაშებისგან უთუოდ განსხვავდება. განსხვავება თუნდაც ის იქნება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შინ კი არა, ნეიტრალურ მოედანზე ვითამაშებთ. „ლივერპულთან" აუცილებლად ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, არაფრით არ უნდა მოგვივიდეს ის შეცდომა, რომელიც „ჩელსიმ" დაუშვა, თამაშის დასაწყისში გოლის გაშვებას ვგულისხმობ. შორს წასვლა რად უნდა, განა ყველამ არ ნახა, რა დაგვემართა „იუვენტუსთან", როდესაც ის სულელური გოლი გავუშვით? ალესანდრო ნესტა მოედნის შუაში შეცდა, დელ პიერომ კი საჯარიმოში ტრეზეგეს მაკრატელა პასი მიაწოდა. ამ გოლის გაბათილება ვერა და ვერ მოვახერხეთ. ერთი სიტყვით, ფინალის წინ დეტალებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და გოლის გატანის გეგმა თამაშამდე შევიმუშავოთ.

**— „ლივერპულში" ბევრი ესპანელი ფეხბურთელია და მწვრთნელიც ესპანელი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ამ გუნდს ესპანური თვისებები მკვეთრად აქვს გამოხატული?**

— არა, ჩემი რწმენით „ლივერპული" კლასიკური ინგლისური გუნდია.

**— მაშ, მოდით მათ რამდენიმე ფეხბურთელზე შევაჩეროთ ყურადღება. მაგალითად, სტივე ჯერარდსა და მილან ბაროშზე ვილაპარაკოთ...**

— ჯერარდი ფანტასტიკური და ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია, იგი თამაშის ყველა მოვლენაში ჩართულია და დიდებულად მოქმედებს, ხოლო ბაროში ტექნიკური მოთამაშე გახლავთ.

**— სეზონი დასასრულს უახლოვდება. როგორ ფიქრობთ, „მილანი" გადაღლილია?**

— ასე ვიტყოდი, ჩვენ გაგვიჭირდა იმ კვირაში, როდესაც ზედიზედ შევხვდით „ფიორენტინას", „პსვ ეინდჰოვენს" და „იუვენტუსს". ახლა ჩვეულებრივ გრაფიკს დავუბრუნდით და მგონი, სტამბოლში ჩინებულ ფორმაშიც ვიქნებით.

**— ერთი სიტყვით, თქვენ ამბობთ, რომ „ლივერპულთან" შეხვედრაში „მილანს" დაღლილობის პრობლემა არ ექნება?**

— ევროპაში ყველა გუნდი ასრულებს სეზონს და ცხადია, „ლივერპულიც" მათ შორის არის. მოკლედ, ამ მხრივ უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ექნება.

**— თქვენ ამბობთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში პირველად ითამაშებთ. ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით საუკეთესო მოგონება დღევანდლამდე რა გაქვთ?**

— ზედიზედ ხუთი გამარჯვება, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში დაიწყო და „პსვ ეინდჰოვენთან" დასრულდა.

**— ამ სეზონის რომელ მონაკვეთში იხილა ხალხმა საუკეთესო „მილანი"?**

— „მანჩესტერ იუნაიტედთან" შინ და სტუმრად.

**— და სიურპრიზი ვინ შემოგთავაზათ?**

— რა თქმა უნდა პსვ-მ.

**— რაკილა სიტყვამ პსვ მოიტანა, ესეც გვითხარით, ნახევარფინალში გავარდნის გეშინოდათ?**

— როდესაც კოკუმაც გაგვიტანა და ანგარიში მათ სასარგებლოდ 2:0 გახდა, გონებაში „დეპორტივოსთან" შარშანდელი წაგება წამომიტივტივდა, მაგრამ ფინალში გასვლის რწმენა მაინც არ დამიკარგავს და საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

**იტალიური** „ლივორნოს" ვეტერანმა ფორვარდმა იგორ პროტიმ დაადასტურა ინფორმაცია, რომ ამ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. „იუვენტუსთან" მატჩი ჩემთვის ბოლო იქნება. დროა, წავიდე და მთელი ყურადღება ოჯახს დავუთმო. ტურინელებთან შეხვედრა კი განსაკუთრებული იქნება ჩემთვის" — თქვა 38 წლის პროტიმ.

**ინგლისური „მანჩესტერ სიტის" ლიდერმა შონ რაიტ-ფილიპსმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გუნდში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერელებმა პირობა ვერ შეასრულეს და ევროთასების მიღმა დარჩნენ. „აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს. ეს ჩემი სახლია. აქამდე რასაც მივაღწიე, სწორედ რომ „სიტის" დამსახურებაა და კონტრაქტის დასრულებამდე მაინც არსად წასვლას არ ვაპირებ" — განაცხადა რაიტ-ფილიპსმა.**

**პორტუგალიურ** „ბოავიშტას" ახალი თავკაცი ჰყავს — ჟოზე ლუშ ბრიტუ. 41 წლის სპეციალისტმა გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ამ პოსტზე ჟაიმე პაშეკუ შეცვალა, რომელმაც „ბოავიშტას" ევროთასებზე გაყვანა ვერ შეძლო. ბრიტუ ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „რიუ ავეს" ედგა სათავეში.

**ესპანური „ბარსელონას" ნახევარმცველ ხავი ერნანდესს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა „იუვენტუსის" სახით. აქამდე მას „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" უტრიალებდნენ. ტურინელებს კატალონიელებთან მოლაპარაკება უკვე დაუწყიათ. აპენინური პრესის ცნობით, „იუვე" ხავის შესაძენ ფულს სტეფან აპიასა და ალესიო ტაკინარდის გაყიდვის შემდეგ იშოვის.**

**იტალიური** „პარმას" ხემძღვანელობა იუწყება, რომ გუნდის მომავალ სეზონშიც პიეტრო კარმინიანი გაწვრთნის. მიუხედავად იმისა, რომ „ენიო ტარდინის" ბინადრები მთელი სეზონის მანძილზე ჩემპიონატის აუტსაიდერები იყვნენ და სერია **A**-ში ადგილი ჯერაც არ გაუნაღდებიათ, პარმელთა უფროსობა მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილია.

**ინგლისური „ტოტენჰემი" სამი ფეხბურთელით გაძლიერდა. ლონდონელებს განსაკუთრებით „ვერდერის" მცველ პოლ სტალტერის გადაბირება ახარებთ. 27 წლის კანადელს სხვა მსურველებიც ჰყავდა. გარდა ამისა, „მამლებმა" „ოსერის" ფინელი ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო და „დერბის" მცველი ტომ ჰადლსტოუნიც დაიმატეს.**

**ესპანური** „რეალის" მეკარემ იკერ კასილიასმა გუნდთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა. ახალი შეთანხმების მიხედვით, მადრიდელთა კარის დარაჯი წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს. ოფიციალურად ამის შესახებ „სამეფო კლუბი" სეზონის ბოლოს განაცხადებს. ასე რომ, კასილიასის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა.

**იტალიური „ლეჩეს" თავკაცმა ზდენეკ ზემანმა შესაძლოა, მაინც გამოიცვალოს გუნდი. ჩეხი სპეციალისტით „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინია დაინტერესებული. სიცილიური კლუბის ამჟამინდელი თავკაცი ფრანჩესკო გვიდოლინი სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს „რენცო ბარბერას" დატოვებს.**

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშებს. პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა „ევერტონთან" მატჩში ძველი ტრავმა გაიმიზეზა და „მეთოფეთა" ექიმების თქმით, „მანჩესტერთან" შეხვედრამდე ვერ გამოჯანმრთელდება.

**რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და გერმანული „კარლსრუეს" ფორვარდი ივან საენკო მომავალი სეზონიდან „ნიურნბერგში" ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ საენკოს შეძენა ბილეფილდის „არმინიას", ფრანკფურტის „აინტრახტს", „კიოლნსა" და „მიუნხენის" სურდათ.**

**იტალიის** ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი კრისტიანო ლუკარელი „ლივორნოს" დატოვებას არ გამორიცხავს: „ეს ჩემი მშობლიური ქალაქი და კლუბია და წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს, მაგრამ თუ ამით გუნდს დავეხმარები და ჩვენი პრეზიდენტი ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს, მის ნებას დავყვები" — განაცხადა ლუკარელიმ.

**პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ იმ კვირაში კონტრაქტის შეწყვეტასთან დაკავშირებით „რეალთან"** მოლაპარაკების დაწყებას აპირებს. 32 წლის ფეხბურთელს იაპონური და კატარული კლუბები ეპატიჟებიან, მაგრამ თავად ფიგუს ევროპაში დარჩენა უნდა. მისი ერთ-ერთი მსურველი „მანჩესტერი იუნაიტედია"

**ინგლისური** „არსენალის" ფრანგმა ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ აღნიშნა, რომ გუნდის დატოვებას არ აპირებს. „ჩემი კონტრაქტი ძალაში რჩება და მის შეწყვეტაზე არ ვფიქრობ. მიმდინარე სეზონში ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება სამწუხაროდ, ვერ შევძელით. იმედია, მომავალი წელი უფრო წარმატებული იქნება" — თქვა ვიეირამ.

**იტალიური „მილანის" დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი შესაძლოა, სეზონის ბოლოს ფრანგულ „ლიონში" გადავიდეს. „კლუბები ჩემდამი ინტერესს მუდმივად იჩენენ, მაგრამ რეალურად არავის დაულაპარაკებია. არ ვიცი, „მილანში" რამდენ ხანს გავჩერდები, მაგრამ კლუბთან კონტრაქტი რომ 2009 წლამდე მაქვს, ფაქტია" — განაცხადა ტომასონმა.**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ


## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | იფსვიჩი-ვესტ ჰემი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | დერბი-პრესტონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 15:05 | 5 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:15 | 6 | საუთენდი-ნორთჰემპტონი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 57 | ავსტრია(ლ)-რიდი | 3.4 | 3.1 | 1.95 | 1.62 | 1.23 | 1.19 |
| 21:00 | 58 | გრაცკორნი-უნტერჰიბენბრიუნი | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 59 | კაფენბერგი-ვიორგლი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 21:00 | 61 | ლინცერი-ალტახი | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 60 | კერნტენი-ლეობენი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 62 | აარაუ-შაფჰაუზენი | 1.9 | 3.2 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| 21:30 | 63 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1.9 | 3.2 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| 21:30 | 64 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.25 | 3.1 | 2.9 | 1.3 | 1.26 | 1.49 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 65 | ციურიხი-თუნი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 70 | ბოლში-ვილი | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 21:30 | 71 | ბელინცონა-ბადენი | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:30 | 72 | კიასო-ვოლენი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| 21:30 | 74 | კრინსი-ბულე | 1.95 | 3.4 | 3.05 | 1.23 | 1.18 | 1.6 |
| 21:30 | 75 | შო დე ფონი-სიონი | 4.2 | 3.3 | 1.7 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 21:30 | 76 | მეირინი-ივერდონი | 5.0 | 3.8 | 1.5 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 21:30 | 78 | ვადუცი-ლუგანო | 1.55 | 3.7 | 4.6 | 1.09 | 1.15 | 2.05 |
| 21:30 | 79 | ვინტერთური-კონკორდია | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 73 | იუვენტუსი-ლუცერნი | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 23:45 | 121 | რეალი-ატლეტიკო | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 112 | ალბასეტე-სოსიედადი | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 21:00 | 113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 23:00 | 114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | 2.0 |
| 21:00 | 116 | ხეტაფე-სევილია | 3.25 | 3.5 | 1.95 | 1.68 | 1.21 | 1.25 |
| 21:00 | 117 | დეპორტივო-მალიორკა | 2.15 | 3.7 | 2.7 | 1.35 | 1.19 | 1.56 |
| 21:00 | 118 | ლევანტე-ვალენსია | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 119 | მალაგა-რასინგი | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 21:00 | 120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 331 | კამარბი-იურგორდენი | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 377 | დალასი-კოლორადო | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 23:45 | 378 | სოლტ ლეიკი-ჩივასი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 425 | სპორტინგი-ცსკა | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 426 | არსენალი-მანჩესტერი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:15 | 428 | ავსტრია-კერნტენი | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 430 | ინტერი-კალიარი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 431 | უდინეზე-რომა | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 450 | ზაგლებე-პლოცკი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 451 | ლეგია-ლეხი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 454 | ბანფილდი-ინდეპენდიენტე | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 455 | პალმეირასი-სან პაულუ | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 456 | პაჩუკა-ჩივასი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 457 | ატლეტიკო პრ-სერო | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 458 | უნ.ჩილე-სანტოსი | 2.6 | 3.0 | 2.4 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 459 | ონსე კალდასი-ტიგრესი | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:15 | 502 | სიენა-რომა | 1.3 | 12.0 | 3.0 | 1.17 | 1.0 | 2.4 |
| 22:30 | 503 | ბოლონია-რიშეტო | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელეკრედიტი
V TELCREDIT

10 42 00 24


## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) | | |
|---|---|---|
| | კი | არა |
| 13425 სპორტინგი-ცხა | 1.7 | 1.9 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი) | | |
|---|---|---|
| 12425 სპორტინგი-ცხა | 1.6 | 2.0 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს | | |
|---|---|---|
| 14425 სპორტინგი-ცხა | 1.6 | 2.0 |

| ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად) | | |
|---|---|---|
| | ლუწი | კენტი |
| 17425 სპორტინგი-ცხა | 1.85 | 1.95 |

| ფრეს გარეშე (ძირ. დრო) | | |
|---|---|---|
| 16425 სპორტინგი-ცხა | 1.35 | 2.5 |

| შემდეგ ეტაპზე გასვლა | | |
|---|---|---|
| 18425 სპორტინგი-ცხა | 1.55 | 2.4 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | | | |
|---|---|---|---|
| | I-ში | თანაბრად | II-ში |
| 15425 სპორტინგი-ცხა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10425 სპორტინგი-ცხა | 2.35 | 2.0 | 4.0 | 1.08 | 1.48 | 1.33 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11425 სპორტინგი-ცხა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | [illegible] | 5.2 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲠᲘᲜᲓᲜᲔᲜ

## ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

20-22 მაისს ქართველ ძიუდოისტებს სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. როტერდამში ევროპის ჩემპიონატი იწყება. საქართველოს ხაკრებიც, ცხადია, ყურადღების ცენტრში მოექცევა. შოთა ხაბარელს ძვიდეული ჰოლანდიაში წუხელ გაფრინდა, მანამდე კი, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია მოეწყო, რომელზეც ეროვნულის თავკაცმა საევროპო ხამპადისა და პერსპექტივაზე ისაუბრა. ხაბარელმა პირველ რიგში შემადგენლობა დაასახელა, თუმც საევროპო ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ ᲫᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘ მანამდეც ყველამ იცოდა.

შოთა ხაბარელი

„როტერდამში ვარჯიშ ხისტაშვილი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ) დავით ქუსაშვილი (73 კგ), ვრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ), ირაკლი ალიევიჩ (90 კგ), იური ფალერიანი (100 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) აქვიანდენ — ოქმა მწვრთნელმა — შემადგენლობა ახალგაზრდულია, მაგრამ ყველას შეუძლია მედლისთვის ბრძოლა. ჰოლანდიაში ნესტორ ხერგიანი და ხერგან ზვიადაურიც მოდიან, თუმც მათი ტატამზე გასვლა ამ ეტაპზე საჭიროდ არ ჩავთვალეთ. კვირს, პიტერბურგური მეტოქეების ჭიდაობას დაკვირდნენ, მაგალითისთვის კი წლევანდელ უმთავრეს ტურნირზე, 7-9 სექტემბერს ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატზე იბრძოლონ. ასეთად ორივე ჯერ ფიქრობენ. ეს 4 იუნისს, საკლუბო ევროპაჩემპიონობის ბოლო ტურში გაძლიერდება".

მოლის ერთი სეზონიზე, რომელიც ნაკრებისა და „საგარეჯოს" თავკაცმა გაფიქრა. 4 იუნისს, პირველი ქართული კლუბისა და გერმანული „აბენსბერგის" შეხვედრის ტელეტრანსლაციაც საზოგადოებრივი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემა, თავისუფლების მოედანზე კი დიდი ეკრანი დამონტაჟდება.

**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ**



# ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ ᲝᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲐᲕᲓᲜᲔᲜ

## Მ-ᲢᲔᲚ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

**ᲡᲝᲤᲘᲐ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ.** *11 - 22 მაისი*

**V ᲢᲣᲠᲘ**

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0:5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 1:0
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0





კრამნიკმა პოლგართან მოგებით ლიდერობა დაიბრუნა

უშელავათო ბრძოლა გაიმართა მეხუთე ტურში. ჩატარებული სამი პარტიიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ყაიმით და მასაც 54 სვლა დასჭირდა.

სოფიაში ყაიმებზე მკაცრი წესებია დაწესებული, თუმც აქამდე ჩატარებულ 12 პარტიაში მხოლოდ 2 დასრულდა ზავით. როგორც ჩანს, ორგანიზატორთა ახალმა წესებმა მოჭადრაკეებზე მეხუთე ტურში იმოქმედა.

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა კრამნიკმა ტურნირის ერთადერთ მანდილოსან პოლგართან მოგებით ლიდერობა დაიბრუნა. ახლა რუსი ინგლისელთან ერთად უდგას ცხრილს სათავეში.

კრამნიკმა და პოლგარმა ინდური პარტია გაითამაშეს. რუსი ლაზიერის გამბიტით შეუდგა მტერთან ბრძოლას, უნგრელმა კი კუ გამოიყვანა წინ და მე-6 სვლაზე მხედარში გაუცვალა. შეტაკების შემდეგ მხარეები დროებით მოეშვნენ, ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ და ახალი იერიშისთვის მოემზადნენ. ბრძოლა მე-16 სვლაზე დაიწყო, კრამნიკმა d5-ე უჯრაზე მდგარი პაიკი მოკლა. მომდევნო სვლაზე მოკლულ პაიკს თავისიანები გამოექომაგნენ, რამდენიმე მეომარი გაუულიტეს ერომანეთს და მძიმე ძალებით გადავიდნენ იერიშზე. უპირატესობას მალე პოლგარი დაეუფლა. იგი ხელმწიფის ფლანგიდან მიაწვა კრამნიკს, 31-ე სვლაზე თეთრი მეფე h1 კუთხეში მიუმწყვდია და თავზე გამსვლელი პაიკი დაასვა, მეტოქის შეტევა რუსმა იოლად მოიგერია და ხარისხითაც გავიდა წინ. კრამნიკმა ენდშპილში მხედარ-პაიკი შავ მეფეზე მიუშვა, გასაქანი არ მისცა და 62-ე სვლაზე ქულა აარიგა.

საინტერესო გამოდგა ინდოელისა და ინგლისელის შეხლაც.

დებიუტში ანანდმა და ადამსმა f ხაზზე გამოიყვანეს მხედრები. ფრთხილად თამაშობდა ორივე დიდოსტატი, მათ ჯერ საკუთარი წინა ხაზის გაძლიერებას მიჰყვეს ხელი და იერიშიც შემდგომ განახორციელეს. თამაში ორმხრივ, პატარა-პატარა შეტევებით გაგრძელდა, 22-ე სვლაზე კი ორივემ d ხაზზე ვაგონგრეს ეტლები და ერთმანეთს სახიფათოდ დაუმიზნეს. ჩანდა, რაღაც დიდი და ვერაგული ჰქონდათ ჩაფიქრებული. შეტაკება 26-ე სვლაზე დაიწყო, რომელსაც ორივე მხრიდან ლაზიერები და ოთხივე ეტლი შეეწირა. დარჩენილ ფრიში მოჭადრაკეები პაიკების გაცვლას შეეცადნენ. თუმცა ყველა ფიგურა შემოაკვდათ და 54-ე სვლაზე დაფაზე ეულად დარჩენილმა მეფეებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.



ადამსისა და ანანდის მეფეები 54-ე სვლაზე დაზავდნენ



31-ე სვლაზე პოლგარმა კრამნიკის მეფე გაჭედა

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 3 ქულა |
| 2. | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 3 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2,5 |
| 4. | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 2,5 |
| 5. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2 |
| 6. | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |

**ᲚᲐᲛᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ**



# ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗᲕᲔᲜᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ტრადიციული ნაკრები ბოლოს ბოლოს ევროპის ჩემპიონატზე ტურნირიდან მეექვსეობით დაბრუნდა. ეს ტურნირი გუშინწინ „სარბიელში" მხოლოდ კლადიერ გეგეშიძის ტრანსლაციას შეახებ გამცნეთ თავისუფალთა მახასიათებელი ტურნირის შეფასებისას. ახლა კი ბევრი დარჩის გუნდის წარმატების შესახებ მოგითხრობთ.

სიერანგეში რომ ითქვის მიღებულად გადახალისებულია შემადგენლობა წავიდა. გასულ კვირაში ხაკრების მწვრთნელის ინტერვიუში გამცნეთ. ევროპის ჩემპიონატმოელოდა ფეიერული დარჩიამ ხალხმა შეუსწავლელად აარიდა და შანსი მაინ კონკურენტების მისცა, ხოლო ოლიმპიური პრიზიორი რამაზ ნიბაძე მხარე წინაში აჭიდავა. ერთი შეხედვით, ყველაფერი ისე იყო, გუნდს მოკრძალებული შედეგი რომ ეჩვენებინა და ვერც საეჭვურს იტყოდა ვინმე, თუმც...

ანალოგიური ძიებდაც საბუღალში მოხვდა და მიუხედავად იმისა, რომ 55 კილოგრამში მონაწილე ალბითიდ არ გვყოლია, გუნდური ჩემპიონობისთვის მაინც სერიოზულად იბრძოლა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ საფრანგეთში მორიგი ცდა ჩაატარა წესისწარი ინოვაციით, ტურნირი გუნდური პრინციპით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ტურნირის წინ ლებულება შეეცვლათ და პირადი პირველობის ჩატარება უბრძანებათ.

„55 კილოგრამში კაცი არ გვყავდა, მაგრამ პირადში ისე წარმატებულად გამოვედით, საერთო ქულების დაკვამებისას გუნდურ ფინალში აღმოვჩნდით — გვითხრა საფრანგეთიდან დაბრუნებულმა დარჩიამ — ყველაზე მეტი ქულები უკრაინასა და ჩვენ დაგვიგროვდა და პირველობისთვის ერთურთს დავეჯიდეთ, მესამე ადგილი კი ფრანგებსა და ირანელებს შორის გათამაშდა".

ახლა ქართული ექვსეულის პირადი შედეგები: ზურაბ ზავრაშვილმა (60კგ), შმაგი გოქაძემ (66კგ) და შალვა გადაბაძემ (96კგ) ყველა მეტოქე დაამარცხეს და ოქროს მედლები მოიგეს. გიორგი ვინჭველაშვილმა (74კგ) ვერცხლი, ხოლო ვლადიმერ გეგეშიძემ (84კგ) და რამაზ ნიბაძემ (მძიმე) ბრინჯაო მოიპოვეს.

დარჩიას თქმით, გეგეშიძეს ტრავმის გამო გუნდური ფინალი გაუცდა და უკრაინას ორ წონაში გამარჯვება ავტომატურად ჩაეთვალა. დანარჩენი ხუთიდან ჩვენებურებმა სამში იმარჯვეს და საერთო ანგარიშში 3:4 დამარცხდნენ.

იმ სპორტსმენებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ, მსოფლიოს განაცხადში ჩასაწერად ერთხელაც მოუწევთ თავიანთი ძალის დამტკიცება. ერთ თვეში თბილისი გავი კარტოზიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს და საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდში ისინი მოხვდებიან, რომლებიც შიდა კონკურენციაში საუკეთესო შედეგს აჩვენებენ.

**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ**

# ᲞᲝᲚᲒᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲓ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲡ ᲓᲐᲔᲭᲘᲓᲔᲑᲐ

**ᲧᲐᲢᲐᲠᲘᲡ** დედაქალაქ დოხაში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის მონაწილე 9 დიდოსტატი დაასახელეს.

შეგახსენებთ, რომ წლეულს პირველი ასეთი შეხვედრა თებერვალში თბილისში გაიმართა და ძაძინ გადაწყდა, რომ ჩემპიონატში ფიდეს რეიტინგის რვა საუკეთესოს ეთამაშა. ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა პრეტენდენტთა სიაც გამოაქვეყნა, თუმც ორმა, პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკე გარი კასპაროვმა და კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა უარი თქვეს ტურნირში მონაწილეობაზე, ფიდე კი, როგორც ჩანს, მათ გადაწყვეტილებას ადრევე მოელოდა და ეს ადგილები რეიტინგში უკან მდგომებმა შეავსეს. აი, მათი სრული სიაც: ფიდეს ჩემპიონი უზბეკი რუსლან პონომარიოვი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უნგრელები პეტერ ლეკო, იუდიტ პოლგარი, რუსები — ალექსანდრ მოროზევიჩი, პეტერ სვიდლერი და ინგლისელი მაიკლ ადამსი.

ფიდეს თავკაცი კირსან ილუმჟინოვი და სან-ლუისის გუბერნატორი ალბერტო როდრიგეს საა

დოხაში იმყოფება არგენტინელი სენ-ლუისის მმართველი ალბერტო როდრიგეს საა, რომელმაც შეკადებრის ჩატარება ითავა. გათამაშება არგენტინელ ქალაქში 27 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე გაიმართება და სავარაუდოდ საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი იქნება.

„შეხვედრაში, რომელიც ორ წრედ გაიმართება, ფიდეს რეიტინგის რვა საუკეთესო დიდოსტატი ითამაშებს — განაცხადა კირსან ილუმჟინოვმა — მოჭადრაკეები თეთრებითა და შავი ფიგურებით ორ-ორ პარტიას გაითამაშებენ".

აღსანიშნავია, რომ ამ საუკეთესო რვიდან ოთხი — ანანდი, ადამსი, პოლგარი და ტოპოლოვი — ამჟამად სოფიაში მიმდინარე სუპერტურნირზე გამოდიან.

# ბასკეთის ცაზე ქართული წარმოშობის ვარსკვლავი ანთია

## დიმიტრი იაშვილის შებოჭვა მხოლოდ პატარებს შეუძლიათ

გაიოზ თალაკვაძე
კლერმონ-ფერანიდან

**ფრანგული ბასკეთის მთავარი კლუბი ბაირიცის „ოლიმპიკა", რომლის ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბე გახლავთ დიმიტრი იაშვილი — საქართველოს ნაკრების მორკინალის გრეგუარ იაშვილის ძმა და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი წევრის მიშელ იაშვილის შუათანა ვაჟი, თავადაც ფრანგთა ღირსების დამცველი.**

**საფრანგეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და „ოლიმპიკი" თითქმის ნახევარფინალშია. მიზნის მისაღწევად ბასკებს რამდენიმე ქულაა აკლიათ და რადგან საქმის გადადება უკანასკნელ ტურამდე არ უნდოდათ, კლერმონ-ფერანსაც უძლიერესი შემადგენლობით ეწვივნენ მინიმუმ ბონუსის ერთი ქულის მოსაპოვებლად. მათ პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს კიდეც, რადგან 7 ქულაზე მეტით არ დამარცხდნენ — 26:30. არადა, სტუმრებს გამარჯვებამდე ცოტაოდენი დააკლდათ, რაც მატჩის შემდეგ დიმიტრის მოწყენილობის მიზეზიც იყო.**

**თუმცა, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეეფერება, „მესამე ტაიმზე" მაინც მხიარული გამოჩნდა. სანამ „ოლიმპიკის" შერკინების ნახევარმცველმა სტუმართათვის განკუთვნილ მაგიდას მიაღწია, დარბაზში შესასვლელიდან დაახლოებით 25-30 მეტრის გავლას ნახევარ საათზე მეტი მოანდომა. „კლერმონ ოვერნის" გულშემატკივრები, ძირითადად პატარები, ავტოგრაფებს და სამახსოვრო ფოტოებს სთხოვდნენ „მამლების" მეცხრე ნომერს, რომელიც არავის აწბილებდა.**

**ძნელი და საპასუხისმგებლოა ნაღდი ვარსკვლავობა. ბოლოს როგორც იქნა, უნია ბიარიცელმა თანაგუნდელებს და ფანებიც ჩამოსცილდნენ, რამდენიმე წუთში კი დიმიტრიმ ინტერვიუსთვისაც მოიცალა**



**— რომელი ხაზის გაჭრა უფრო ძნელი იყო, მინდორზე აჭური მორაგბეებისა თუ პატარა გულშემატკივრებისა?**

— პატარების, რადგან მათი შებოჭვის მანერას ვერაფერი დაუპირისპირე.

**— დიმიტრი, საუბარი სულ თავიდან დავიწყოთ. რატომ არჩიე რაგბის თამაში ფეხბურთისას? მამის გავლენას ხომ არ დავაბრალოთ?**

— არა, მამა ყოველთვის ცდილობდა, გავლენა არ მოეხდინა ჩემს არჩევანზე. სრული თავისუფლება გვქონდა. თავიდან მართლაც ფეხბურთს ვთამაშობდი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ნიცაში ვცხოვრობდით, სადაც რაგბი არაა განვითარებული. ბრივში დაბრუნების შემდეგ კი რაგბისთვის აღარ მიღალატია.

**— ფეხბურთმა დაგაყენა ასეთ კარგ დამრტყმელად?**

— არა მარტო ფეხბურთმა. ეს დიდი მუშაობის შედეგია.

*ცნობისთვის, დიმიტრი მუდმივად მუშაობს დარტყმის სრულყოფაზე და ბოლო დროს ყოფილი ფეხბურთელი და ამჟამად ცნობილი ტელეწამყვანი ჟან-მიშელ ლარკე ეხმარება ამ საქმეში.*

**— მამაშენის თამაშები ალბათ არ გინახავს.**

— მხოლოდ ჩანაწერები, აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, მე ჯერ კიდევ ფეხი არ მქონდა ადგმული.

**— მისი ჩანაწერების ყურებისას რა გრძნობა გეუფლება, მოგწონს მიშელ იაშვილის თამაში თუ არა?**

— მშვენივრად თამაშობდა და ამიტომაც მიიწვიეს საფრანგეთის ნაკრებში. ექვსი ნომერი იყო და ფიზიკურად ძალიან ძლიერი.

**— შენ ძალიან ახალგაზრდა წახვედი ინგლისში სათამაშოდ მაშინ, როცა ფრანგი მორაგბეების უმეტესობა ლა მანშის გაღმა მხოლოდ კარიერის დასასრულს გადადიან. რატომ გააკეთე ასეთი არჩევანი?**

— ამ გადაწყვეტილებაზე ორმა გარემოებამ იქონია გავლენა: ჯერ ერთი, „ბრივის" მწვრთნელი (ამჟამად „ტულუზის" ერთ-ერთი დამრიგებელი სერჟ ლაიარლი) არ მათამაშებდა და პარიზში ნასიონალ I-ის „PUC"-ში გადაბარგდი და მეორე, „გლოუსტერსის" მწვრთნელი ფილიპ სენტ-ანდრე იყო, რომელიც კარგად მიცნობდა და მან შემომთავაზა კიდეც ინგლისში გადასვლა.

**— როგორი იყო შენი ცხოვრების ინგლისური პერიოდი?**

— ბრიტანეთში ერთი სეზონი დავყავი, რომლის დროსაც 15 მატჩი ჩავატარე და უზარმაზარი გამოცდილება მივიღე. ინგლისის და საფრანგეთის ჩემპიონატებს თუ შევადარებ, ჩვენთან გაცილებით სანახაობრივ რაგბის თამაშობენ, ბევრს ცდილობენ ბურთის გათამაშებას, ინგლისში კი აქცენტი ფიზიკურ ძალაზე კეთდება. ორივე საინტერესოა, მაგრამ მე მაინც აქაურობა მირჩევნია.

*დიმიტრიმ თავის თანაგუნდელ და ყოფილ „მამალ" ფილიპ ბერნა-სალს დაუძახა და, აბა, ეს წამიკითხეო. „სარბიელი" მიაწოდა, მაგრამ 1999 წლის მსოფლიო თასის ნახევარფინალში ახალზელანდიელთა დამაქცევარი ჩვენი გაზეთის მკითხველთა რიგებში ვერ ჩაეწერა ამიტომაც იმედგაცრუებული გაბრუნდა.*

**— შეიძლება ითქვას, „გლოუსტერსში" კარიერა მშვენივრად ააწყვე და მაინც საფრანგეთში დაბრუნდი. რის გამო, ნოსტალგიამ ხომ არ შეგაწუხა? თუ „ბიარიცმა" უკეთესი პირობები შემოგთავაზა?**

— არა. არც ნოსტალგია და არც ფინანსური დაინტერესება არ ყოფილა ჩემი დაბრუნების მიზეზი. უბრალოდ, ბასკებს დიდი გუნდის გაკეთების პროექტი ჰქონდათ, რაც სპორტული თვალსაზრისით ზრდის და საფრანგეთის ნაკრებში მოხვედრის გაცილებით უკეთეს საშუალებას მაძლევდა. ამიტომაც ასეთი არჩევანიც გავაკეთე.

**— რამდენჯერაც ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშე, იმდენჯერ გახდი მატჩის გმირი. ინგლისური კარიერის წყალობაა თუ სხვა რამე საიდუმლო გაქვს?**

— ყველა თამაშში ვცდილობ, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო. ალბათ, უბრალოდ დამთხვევაა, რომ ინგლისელებთან მართლაც საუკეთესო ვიყავი ხოლმე, მაგრამ, მგონი, ირლანდიაშიც კარგად ვითამაშე წლევანდელ ექვსი ერის პირველობაზე და იტალიაშიც.

**— თუმცა იყო ჩავარდნებიც, რის გამოც ადგილი „მამლებში" საბოლოოდ მაინც ვერ დაიმკვიდრე. ეს არასტაბილურობას დავაბრალოთ თუ დიდ კონკურენციას?**

*დიმიტრის სახეზე შევატყე, კითხვა არ ესიამოვნა და კითხვითვე მიპასუხა.*

— მაინც, რომელ მატჩში მქონდა ჩავარდნა?

**— მაგალითად, უელსელებთან მეორე ტაიმში, ბრწყინვალე პირველი ტაიმის შემდეგ.**

— მართალია, მაგრამ მაშინ მთელი გუნდი მონუსხულივით დაბრუნდა მინდორზე შესვენების შემდეგ, თუმც პასუხისმგებლობას არ გავურბივარ.

**— დღეს შენი მთავარი კონკურენტის, კლერმონელი პიერ მინიონის წინააღმდეგ ითამაშე. როგორ გგონია, რომელმა მოიპოვეთ უფრო მეტი ქულები ნაკრების მწვრთნელ ბერნარ ლაპორტის თვალში?**

— რა ვიცი. შენ უფრო რომლის თამაში მოგეწონა?

**— ორივესი. კაი, ეს საკითხი ლაპორტს დავუტოვოთ გადასაწყვეტად და მომავალ მსოფლიოს თასს გადავწვდეთ. აქვს საფრანგეთის ნაკრებს შინ გაჩემპიონების შანსი?**

— ძნელია, მაგრამ არა მიუღწეველი. თავისთავად უდიდესი უპირატესობაა შინ თამაში, მაგრამ გარდ ამისა, ჩვენ ძალიან ძლიერები ვართ დერეფანში, შერკინებაში. ყველა ჩვენი პლუსი კარგად თუ გამოვიყენეთ, ვგონებ, შეგვიძლია პირველობა.

**— საქართველომ თუ შეძლო შესარჩევ ტურნირში წარმატების მიღწევა, დიდი შანსია, საფრანგეთის ჯგუფში მოხვდეს და უფროსი ძმის წინააღმდეგ მოგიწიოს თამაშმა...**

— [illegible] ხელით და გულით მინდა, საქართველოს ნაკრებმა მოახერხოს შესარჩევი ციკლის დაძლევა. გრეგუარის წინააღმდეგ კი გაორმაგებული ძალით ვითამაშებ, არაფერს დავუთმობ (იცინის). თანაც, დარწმუნებული ვარ, განსაკუთრებული გამოხმაურება ექნება ამ ფაქტს აქაც და საერთოდ მთელ სარაგბო სამყაროშიც. გენიალური იქნება.

**— შენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გითამაშია. როგორ ფიქრობ, აქვს საქართველოს რაგბის პოტენციალი ერთ დღეს დიდ სარაგბო ქვეყნებს ტოლ-სწორად ეპაექროს?**

— რა თქმა უნდა, [illegible] არის. უბრალოდ, სწორი [illegible] თარებაა საჭირო და [illegible] იმაზე გაცილებით მალე [illegible], ვიდრე უმრავლესობას [illegible] როველთაგან ბევრს [illegible] ცი, მშვენიერი მორაგბეები [illegible], რომლებსაც შეუძლიათ [illegible] მატებებს მიაღწიონ.

*სწორედ განვითარებაში [illegible] ნა შეცდომების [illegible] გავითვალისწინოთ, როგორც დიმიტრი იაშვილის ფრანგული [illegible] თობაა, რისი მიზეზების [illegible] საც ახლა არ დავიწყებთ.*

**— ორიოდ სიტყვა ბიარიცზეც ვთქვათ. ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაში თითქმის გარანტირებული გაქვთ. ვის ისურვებდით მეტოქედ?**

— რა ვიცი, სამივე [illegible] ერია. ალბათ უფრო „[illegible]" თუმც მანამდე ჯერ კიდევ [illegible] რია დარჩენილი და ამ [illegible] უნდა ვიფიქროთ. ფინალში კი მინდა, „სტად ფრანსეს" შევხვდეთ, რომელმაც ევროპის თასის ნახევარფინალიდან გამოგვაგდო.

**— ნამდვილად ძალიან [illegible] ნი მარცხი იწვნიეთ პარიზში. რისი ბრალი იყო თითქმის მოგებული შეხვედრის ბოლო წუთებზე დათმობა?**

— ძნელი სათქმელია. [illegible] ლებიც ძალიან ძლიერები [illegible], თანაც ბოლო წუთები [illegible] უმცირესობაში ვიყავით [illegible] ორი ლელოს გაშვებას [illegible] ამართლებს. ისე, ალბათ, „სტად ფრანსეს" გაუმართლა [illegible] და შევეცდებით, ეს ჩემპიონატის ფინალში დავამტკიცოთ, თუ [illegible] გავედით, რა თქმა უნდა.

**— რევანშს გისურვებთ და გმადლობთ საუბრისთვის.**

*დიმიტრიმ უარი არც „სარბიელს" უთხრა სამახსოვრო [illegible] ზე და თანაგუნდელებს [illegible] ბიარიცელთა ავტოგრაფიც. თუმცა პატარა კლერმონელთა [illegible] ჭრელმა ხაზმა" ისევ დიდი ხნით შეაყოვნა.*

ფილიპ ბერნა-სალო

დიმიტრი იაშვილმა ყოფილ „მამალ" ფილიპ ბერნა-სალს „სარბიელი" გაუწოდა

## ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

# პეტაკის პეტაკისა

## სანდრო სანგარიდან ამოვიდა

ალესანდრო პეტაკი

**სანდრო** პეტაკიმ როგორც იქნა, თავისი დაიბრუნა. მსოფლიოს თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი უჩაუქესი სპრინტერი ბარე 10 დღე ელოდა ამას და მანამდე არაერთხელ, პედალმოცარულმა ბოლოს და ბოლოს გაიტანა თავისი — „ჯირო დიტალიას“ მე-9 ეტაპის ფინიში პირველმა გადაკვეთა და შარშან 9 ეტაპის მომგებმა წლეულს პირველი იტალიური გამარჯვება ჩაიწერა. ისე, ეს მხოლოდ მისი დამსახურება არაა, ისევე, როგორც წინა სხვები.

აღრეც გვითქვამს, პეტაკიზე მთელი მისი გუნდი, „ფასა ბორტოლო“ მუშაობს. მე-9 ეტაპზეც, რომელიც ფლორენციიდან რავენამდე არცთუ გრძელ გზას, 139 კილომეტრს მოიცავს, „ფასას“ „ლურჯვერცხლისფერმა“ შემადგენლობამ უხიფათოდ მიიყვანა პეტაკი ფინიშამდე, შეტევისთვის გვარიანად ხელსაყრელი პირობაც შეუქმნა და ამასაც აღარ გასჭირვებია სხვა სპრინტერთა დაჩაგვრა.

პეტაკის ფინიშზე მიჰყვნენ საერთო ჩათვლის ყოფილი ყონი აწ კი სადღაც მე-12 ადგილამდე ჩაქვეითებული პაოლო ბეტინი და ვინმე ორელინ კლერკი. პეტაკის მთავარმა კონკურენტმა და მოშუღლემ, ავსტრალიელმა რობი მაკივენმა წლეულს სამი სპრინტი მოიგო, მაგრამ ახლა მხოლოდ მეოთხე იყო და ნარბოლევს ისღა დარჩენოდა, წაგების მიზეზები ეძებნა და თავი ემართლებინა — „ბოლო ასეულ მეტრებზე ძალიან წამგებიან პოზიციაზე აღმოვჩნდი. თავისთავად მე მაინც შევუტიე, მაგრამ იმან დამღუპა, რომ მე სპრინტი გავაჩაღე სასპრინტო პოზიციაზე გასასვლელად და როცა პეტაკი შეტევას იწყებდა, მე უკვე ფეხებში ძალა გამოლეული მქონდა, უკვე ბოლომდე გამოწურული ვიყავი.“

ეს კარგი, მაგრამ მაკივენს სიტყვაც არ დასცდენია თავის გუნდზე. მისი „ლოტო“ არც იმდენად ორგანიზებულია, რომ მაკივენი ასე საათივით აწყობილ „ფასა ბორტოლოს“ მარტო გამოეკიდოს.

რაც შეეხება საერთო ჩათვლის ვაცს დანილო დი ლუკას, მას ამ ვაკე ეტაპზე არავინ დამუქრებია და ვერც დაემუქრებოდა, რაკი ვინმე თავზეხელაღებულს რომ გაეგიჟებინა თავი და წინ გაჭრილიყო, უმთებო გზაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩაყლაპავდა პელოტონი. ჰოდა, დი ლუკაც მშვიდად მიგორავდა თავისი ზორბა თანაგუნდელის მარკო მილესის ზურგსუკან და ასე საიმედო დაცვით იარა ბოლომდე.

17 მაისი დასვენების დღედაა გამოცხადებული. მრბოლები რავენაში დაისვენებენ, თვალს წყალს დაალევინებენ და 18 მაისს გაუყვებიან როსანო ვენეტომდე პოს დაბლობზე გაჭიმულ 212-კილომეტრიან მე-10 ეტაპს. თუმცა არც მთლად სწორზე მოუწევთ უდარდელი ქროლვა. ბოლო 5 კილომეტრი უსწორმასწორო გზაზე გადის და ეს პელოტონს კაცებად და ბიჭებად გაყოფს. შესაძლოა, პეტაკიმ ზედიზედ მეორედაც მოახერხოს გამარჯვება. ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად ეცდება, რაკი მერე გზა ალპებს მიუყვება და სპრინტერებს, რომლებსაც ხშირად პეპლებსაც ეძახიან, ფრთები გაუცვდებათ. ნამდვილი ბრძოლაც სწორედ მე-11 ეტაპიდან დაიწყება.

**კოტე ყორშია**

### მე-9 ეტაპი. 16 მაისი. ფლორენცია — რავენა. 139 კმ

| | |
|---|---|
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) | 3 სთ, 15 წთ, 32 წმ |
| 2 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | |
| 3 ორელინ კლერკი (შვეიცარია, ფონაკი) | |
| 4 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) | |
| 5 ერიკ ცაბელი (გერმანია, T-მობილი) | ყველა იგივე დრო |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 დანილო დილუკა (იტალია, ბიანკი) | 39 სთ, 22 წთ, 19 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +9 წმ |
| 3 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | +35 წმ |
| 4 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +1 წთ, 15 წმ |
| 5 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 27 წმ |
| 6 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 35 წმ |
| 10 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | +2 წთ, 11 წმ |
| 12 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | +2 წთ, 2 წმ |





## საქართველოს XV ჩემპიონატი

მეორე ფინალური ტური

# საგინესო მიღწევა

**შევარდენი 46:24 ქუთაისი**

სტუ-შევარდენი: რუსია (გაიტანა 19 გოლი), კობახიძე (9), ნადირაძე (6), ნიკოლაიშვილი (6)

ქუთაისი: ჩუბინაშვილი (6), მამასახლისი (5), გოგონაძე (5)

**საუ-მამული 40:32 ხ/კ თბილისი**

საუ-მამული: წივწივაძე (13), ცოტაძე (8)

თბილისი: სამარლანიშვილი (12), სიორიძე (5), გელაშვილი (4), ფორაქიშვილი (4)

**ქარიშხალა 34:27 თელავი**

ქარიშხალა: საჯაია (7), სიგუა (6), ქირია (5), ბერძენიშვილი (5), გელა არაბული (5)

თელავი: ჯიშკარიანი (7), ნატროშვილი (6), მეტრეველი (6), ჩიკვაიძე (4)

**გუშინ** ტურნირზე თამაშების მხრივ მშვიდი დღე იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ფინიშამდე სამი ტურით ადრე უცვლელმა ჩემპიონმა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა“ უკვე მე-15 ტიტული გაინაღდა.

ირაკლი კეკელიძის ბიჭებმა მორიგი უხვგოლიანი მოგებით სწორედ რომ საგინესო მიღწევა დაამყარეს — ზედიზედ 15-ჯერ ჩემპიონება როგორი ამბავია.

პრაქტიკულად გაირკვა მესამე პრიზიორის ვინაობაც. ხელბურთის კლუბმა „თბილისმა“ პირველ დღეს „თელავთან“ დაუჯერებელი მარცხის მერე საბოლოოდ დაკარგა ჩემპიონო მოტივაცია და დარჩენილ თამაშებს, რომ იტყვიან, ინერციით ატარებს. გუშინ „თბილისი“ აგრარული უნივერსიტეტის „მამულმა“ დაამარცხა და ბრინჯაოს მედლებიც ალბათ გაინაღდა.

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 23 | 0 | 1 | +343 | 46 |
| თბილისი | 19 | 1 | 4 | +89 | 39 |
| საუ-მამული | 14 | 1 | 9 | +204 | 29 |
| ქარიშხალა | 13 | 1 | 10 | +33 | 27 |
| თელავი | 11 | 0 | 13 | 36 | 22 |
| ქუთაისი | 9 | 1 | 14 | -66 | 19 |

### მეგოლეები

| | | გუნდი | გოლი | თამაში | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვლადიმერ რუსია | სტუ-შევარდენი | 282 | 23 | 12.3 |
| 2 | გიორგი წივწივაძე | საუ-მამული | 234 | 19 | 12.3 |
| 3 | გოჩა მშვიდობაძე | გორი | 184 | 16 | 11.5 |
| 4 | ლაშა სამარლანიშვილი | ხ/კ თბილისი | 180 | 24 | 7.5 |
| 5 | ვახტანგ ჯიშკარიანი | თელავი | 168 | 23 | 7.3 |
| 6 | გიორგი ნატროშვილი | თელავი | 155 | 24 | 6.5 |
| 7 | გიორგი კობახიძე | საუ-მამული | 150 | 24 | 6.3 |
| 8 | ირაკლი ქირია | ქარიშხალა | 149 | 21 | 7.1 |
| 9 | მერაბ ჯოჯუა | სამტრედია | 132 | 16 | 8.2 |
| 10 | ლევან გელაშვილი | ხ/კ თბილისი | 134 | 24 | 5.6 |



# რაიკონენს სამუდამო შესთავაზეს

**„მაკლარენ** მერსედესის“ შეფობა შიშობს ესპანური ეტაპის მომგები პილოტი, კიმი რაიკონენი არ დაკარგოს. ამ დღეებში „ვერცხლისფერი ისრების“ თავკაცმა რონ დენისმა გულახდილად აღიარა, რომ ფინელს უკვე სამუდამო კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა.

„კიმის შესანარჩუნებლად ძალღონეს არ დავიშურებთ. იგი ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს კიდევ არაერთი დიდი გამარჯვებით გაახარებს“ — თქვა დენისმა ფინურ ტელეარხ MTV3-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.





რაიკონენი „მაკლარენში“ 2002 წელს მივიდა და თანამემამულე მიკა ჰაკინენი შეცვალა. მისვლისთანავე ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, ხოლო 2003 წლის სეზონში უკვე მიხაელ შუმახერს ებრძოდა ჩემპიონობისთვის.

ბოლოხანს ევროპულ პრესაში რამდენჯერმე გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს ფინელ პილოტს „ფერარიმ“ დაადგა თვალი და რომ იგი მიხაელ შუმახერის მემკვიდრედ ესახებათ, აქაოდა, შუმიმ შეიძლება ფორმულა 1 მალე დატოვოს.

— თუ კიმის შენარჩუნებაზე აქედანვე არ ვიფიქრეთ, შეიძლება სულ მალე უკვე გვიან იყოს — დასძინა დენისმა.

საქართველოს სამბოს ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ 50 წლისა გარდაიცვალა მისი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში, სამბოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი

**ნოდარ მალვენიშვილი**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

დაკრძალვა ხუთშაბათს, ახმეტის რაიონი, სოფელ ქისტაური 14 საათზე

# ღირსების ოქროს მედალოსნები

**გუშინ** ათენში კიდევ ერთხელ გაიხსენეს შარშან აქ გამართული ოლიმპიური თამაშები, რომელსაც საბერძნეთის დედაქალაქის მერმა, დორა ბაკოიანისმა დაუვიწყარი უწოდა. ეს მოხდა ათენში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე, სადაც ოლიმპიური თამაშების ბრწყინვალედ ჩატარებაში დიდი წვლილის შეტანისთვის საბერძნეთის ღირსების ოქროს მედლებით დააჯილდოვეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი, ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი გიანა ანგელოპულოს-დასკალაკი და თავად ქალაქის მერი დორა ბაკოიანისი.

# შურისძიება

**ამერიკელი კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი ემზადება უნგრეთში ფილმის გადასაღებად, რომელსაც ეწოდება „შურისძიება“. „შურისძიება“ ეძღვნება 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, რის შემდეგედაც ისრაელის სპორტსმენები დახოცეს**

**ფილმის** სახელწოდება ანარეკლია იმისა, რაც მიუნხენში ამ ტერორისტული აქტის შემდეგ მოხდა. ფილმი გვიამბობს, თუ ისრაელის საიდუმლო სამსახურის აგენტებმა, როგორ აღმოაჩინეს და მოკლეს რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც მიუნხენში შეკვეთილი მკვლელობა განახორციელეს.



სტივენ სპილბერგი

ამ ფილმის გადაღების თაობაზე იუწყება უნგრეთის საინფორმაციო სააგენტო მტი, რომელიც ეყრდნობა სპილბერგის წარმომადგენელ მარვინ ლევის.

„შურისძიებას“ გადაიღებენ ამავე სახელწოდების წიგნის მოტივების მიხედვით, რომელიც კანადელმა მწერალმა ჯორჯ იონასმა დაწერა.

შეგახსენებთ, რომ მიუნხენის ტერორისტული აქცია პირველი ამგვარი შემთხვევა იყო თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

მაშინ, 1972 წლის 5 სექტემბერს მოვლენების ტრაგიკული განვითარება ოლიმპიურ სოფელში ალიონზე დაიწყო და გვიან ღამით ფიურტსენფელდბრუკის სამხედრო აეროდრომზე დასრულდა.

იმ დილით ნიღბებში გამოწყობილი რვაკაციანი ტერორისტთა ჯგუფი ოლიმპიურ სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს იგი გარეშე პირთაგან საგულდაგულოდ იყო დაცული, მაინც შეიპარა. იგი თავს დაესხა ისრაელის მოჭიდავეთა გუნდს. ტერორისტებმა თავდასხმისთანავე ავტომატის ჯერით ადგილზე მოკლეს გუნდის მწვრთნელი და ერთი მოჭიდავე, დანარჩენები კი დაატყვევეს.

აღმოჩნდა, რომ ტერორისტები პალესტინის ექსტრემისტული ორგანიზაციის — „შავი სექტემბრის“ წევრები იყვნენ. მათ სექტემბრის იმ დილით მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ორასი პალესტინელი პატიმარი, რომლებიც ისრაელის ციხეებში იხდიდნენ სასჯელს.

მთელი გერმანიის მთავრობა ფეხზე დადგა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშები უვადოდ შეწყვიტა. ტერორისტებმა მათი მოთხოვნით მძევლები ავტობუსებით გადაიყვანეს სამხედრო აეროდრომზე, სადაც „ბოინგ-727“ ელოდათ. სწორედ მაშინ დაიწყო მძევალთა განთავისუფლების ცდა.

სნაიპერთა პირველი გასროლისთანავე ტერორისტებმა მძევლებს გაუხსნეს ცეცხლი და ყველანი ამოხოცეს ტერორისტთა ხელყუმბარის აფეთქების შემდეგ დაიღუპა ერთ-ერთი შვეულმფრენის პილოტი და ერთიც პოლიციელი, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. აფეთქებამ შეიწირა შვეულმფრენიც.

„შურისძიების“ გადაღება ამ ზაფხულს, ივნისში დაიწყება და, როგორც ვარაუდობენ, ორ-სამ თვეს გაგრძელდება.

უნგრეთში სპილბერგის მიერ ფილმის გადაღების გადაწყვეტილება უნგრელი კინემატოგრაფებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

საინტერესოა, რომ წლეულს ბუდაპეშტიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით სოფელ ეტეკში ევროპაში ყველაზე დიდი კინოსტუდიის მშენებლობა დაიწყო. უნგრეთის კინოსტუდიებმა, რომლებსაც ხალხმა უკვე „ეტეკვუდი“ შეარქვა, კონკურენცია უნდა გაუწიოს ჰოლივუდს.

უნგრეთი ამაყობს თავისი ისტორიული ნაგებობებით, რომლებიც დასავლელმა პროდიუსერებმა შეამჩნიეს და დიდადაც აფასებენ. კერძოდ, იქ გადაიღეს ფილმი „ევიტა“, რომელშიც მთავარ როლს მადონა თამაშობს.

**ამთანდილ გურასაშვილი**





შავი სექტემბრის დღე მიუნხენში

კატარინა ვიტი

# ოჰ, კატი, კატი

**ამას** წინათ ამერიკის ჟურნალმა PEOPLE, როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს 50 „ყველაზე მომხიბვლელი“ ადამიანი გამოავლინა, რომელთა შორის სპორტსმენებიც იყვნენ. PEOPLE-ის დარად ამდენივე მომხიბლავი ადამიანი გამოავლინა ამავე ჟურნალის გერმანულმა ვერსიამაც. ოღონდ გერმანულმა „პიპლმა“ მხოლოდ ამ ქვეყნის მომხიბლავი ხალხი შეარჩია. მათ შორის აღმოჩნდა გერმანული სპორტის არაერთი ვარსკვლავი.

გერმანიაში ყველაზე ლამაზ ადამიანად აღიარეს კინომსახიობი ალექსანდრა მარია ლარა, ხოლო სპორტსმენთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს „ბავარიისა“ და გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი, რომელმაც „სილამაზის რეიტინგში“ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის სპორტსმენთაგან ყველაზე მომხიბლავად მიიჩნიეს სახელგანთქმული ფიგურულად მოციგურავე კატარინა ვიტი, რომელსაც გერმანიაში მოფერებით კატის უწოდებენ. მართალია, 39 წლის სპორტსმენმა კარგა ხანია, რაც სარბიელი მიატოვა, მაგრამ, ეტყობა, იგი გერმანელთა გულებს კვლავ აღელვებს. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ სპორტსმენმა მომხიბლავთა რეიტინგში მე-15 ადგილი დაიკავა.

მას ორი საფეხურით ჩამორჩა ასევე ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი და არანაკლებ სახელოვანი სპორტსმენი, მოცურავე ფრანსისკა ვან ალმსიკი.

ეს 27 წლის სპორტსმენი [illegible] დაგ იცვლის საკუთარ [illegible], მაგრამ მიუხედავად გარეგნობის [illegible] ხშირი ცვალებადობისა, [illegible] ტარინას მაინც ვერ [illegible]

რეიტინგში 44-ე ადგილზე [illegible] მოხნდა მსოფლიოს [illegible] ველი ჩოგანი შტეფი გრაფი.

ჟურნალის რეიტინგში [illegible] ლი სპორტის სხვა [illegible] ლებს ველარ ვხედავთ. [illegible] იქ მრავლად არიან [illegible] კის გარდა ესენი არიან: [illegible] რთო გუნდ „ჰამბურგის“ [illegible] რდი ბენჟამინ ლაუტი ([illegible] ადგილი), ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი იურგენ კლინსმანი ([illegible]), „ფორმულა-1“-ის პილოტი [illegible] შუმახერი (18), წარსულში სახელგანთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი (23), „შტუტგარტის“ და გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების ფორვარდი კევინ კურანი (27), საფეხბურთო „შალკე 04“-ის მენეჯერი რუდი ასაუერი (38) და ამ რეიტინგის ბოლოში მოქცეული „ბავარიის“ ექიმი ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი.

როცა ჟურნალი სახელგანთქმულ გერმანელებს აფასებდა, მხედველობაში ღებულობდა არა მხოლოდ მათ სექსუალურ მიმზიდველობას, არამედ პიროვნებასაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილშობილურ ხასიათს.

ასე რომ არ ყოფილიყო, რეიტინგში საპატიო 21-ე ადგილს ვერ დაიკავებდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჰარდ ფონ ვაიცზეკერი, რომელსაც უკვე 85-ი წელი მიუკაკუნა.

**ამთანდილ ჭყვიშელი**












# კვლავ ჯილდოები

*პორტუგალიის ეშტორილში გრძელდება ლაურუსის სპორტული ჯილდოების დიდი გალა-ქეიფობა. ახლა აქ ბექემთა წყვილსაც (1) ნახავთ და მეფორმულეებსაც ,მიკა ჰაკინენსა და ჟან ალეზის (2), ძველ ფრანგ ძიუდოისტს დავიდ დუიეს (3) და ჯილდომინიჭებულ ინგლისელ ზღვაოსანს ელენ მაკარტურს (4). აქვე არიან შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი (5) და ლეგენდარული ველომრბოლი მიგელ ინდურაინი (6). სვენ გორან ერიკსონს (7) იოლად იცნობთ. ჯილდოთი ხელდამშვენებულ ოტო რეჰაგელს (8) კი ბერძენი ფეხბურთელი პანოს ფისასი უმშვენებს მხარს. ლაურუსი ზედიზედ მეორედ ტარდება პორტუგალიაში და წლეულს ღონისძიებას მეფე ხუან კარლოსიც კი დაესწრო.*

*AFP ეშტორილიდან*



**სარბიელი**

**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**გამომცემელი** ზურაბ ფიცხელია
**დირექტორი** პეტრე ოქრომჯედლიძე
**მთავარი რედაქტორი** ილია ბაბუნაშვილი
**რედაქტორი** თამაზ მიბარიანელი
**პასუხისმგებელი რედაქტორი** ავთანდილ გურასაშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, ლიზა ინასარიძე, ილია ნანიბაშვილი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, სოსო კოტორლეიშვილი, ლიდო ხიმერიძე, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ლევან ყალიურაძე, ოთარ ბალლაკელიძე, ირაკლი ბერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფაატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
**http://www.sarbieli.com.ge**